გამოცემის მე-100 წელი

იყიდეთ ყველაზე ძველი ქართული გაზეთი!

სპპრეზიდენტის რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 5 იანვარი. 2018 წ. №2 (8403), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

სასჯელის ზომა: 17-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთა!

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირსა და პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციების საქმეზე ინფორმაციასა და ვიდეომასალას ავრცელებს.

„როგორც მოგეხსენებათ, სპეცოპერაციის დროს ახმედ ჩატაევმა თავი აიფეთქა, ხოლო ტერორიზმში ბრალდებული ჯგუფის წევრები, რუსეთის მოქალაქეები, იბრაგიმ ადაშევი და ასლანბეგსოლტახმადოვი ლიკვიდირებულ იქნენ, ასევე დაკავებული იქნა ტერორიზმის ბრალდებით ინტერპოლის მიერ ძებნილი შოაიფ ბორზიევი.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სუს-ის კონტრტერორისტულმა დეპარტამენტმა ტერორიზმში ბრალდებულთა ჯგუფთან კავშირზე მყოფი სხვა პირები გამოავლინა. რუსლან ალდამოვის, ბადურ ჩოფანაშვილის, რამაზ მარგოშვილის, თემირლან მაჩალიკაშვილის და ზურაბ გორნაკაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით, სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა, გაეცნო წარდგენილ მასალებს და მიიჩნია, რომ ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც წარდგენილ იქნა სისხლის სამართლის საქმეზე, იძლეოდა საკმარის საფუძველს ხსენებული ხუთივე პირის დასაკავებლად.

სასამართლოს განჩინების საფუძველზე 2017 წლის 26 დეკემბერს თბილისსა და ახმეტის რაიონის სოფლებში დუისსა და ომალოში აღნიშნული პირების დაკავების სპეცოპერაცია ჩატარდა. ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მასალებით, დაკავებულთა და მოწმეთა ჩვენებებით გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია დაკავებულ პირთა კავშირები ახმედ ჩატაევთან და ტერორიზმში ბრალდებული ჯგუფის სხვა წევრებთან. ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულ იქნა ვიდეოკადრები, თუ როგორ გადაადგილდებიან თბილისში ახმედ ჩატაევის დაჯგუფის წევრები: შოაიფ ბორზიევი და ასლანბეგ სოლტახმადოვი, თემირლან მაჩალიკაშვილთან ერთად.

აღნიშნული კადრები დღეს გასაჯაროვდა. ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე ბინის დათვალიერებისას, სადაც ახმედ ჩატაევი იმყოფებოდა, ამოღებულია თემირლან მაჩალიკაშვილის სახელზე გაფორმებული საბანკო ხელშეკრულება, სადაც ადგილობრივი საბანკო რეკვიზიტების გარდა, მითითებულია სამი უცხოური ქვეყნის საბანკო რეკვიზიტები. ამ ეტაპზე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარეობს თემირლან მაჩალიკაშვილის საბანკო ანგარიშების შემოწმება. ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე დაკავებული შოაიფ ბორძიევის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ერთ-ერთი მობილური ტელეფონის დათვალიერებისას აღმოჩენილია თემირლან მაჩალიკაშვილის სახელზე გაფორმებულ საბანკო ხელშეკრულებაზე გადაღებული ფოტო.

გამოძიების ამ ეტაპზე ასევე დადგენილია, რომ დაკავებული ზურაბ გორნაკაშვილი პირადად ჩავიდა თურქეთის ქალაქ ხოფაში ახმედ ჩატაევის და მისი დაჯგუფების წევრების დასახმარებლად, რაც მოიყვანა სისრულეში და დაჯგუფების წევრები მანქანით მიიყვანა თურქეთ-საქართველოს საზღვართან, კირნათი-მარადიდის მწვანე ზოლთან. გორნაკაშვილი თბილისშიც უწევდა დახმარებას ახმედ ჩატაევს და მისი დაჯგუფების წევრებს. საგამოძიებო მოქმედებებით დადგენილია, რომ დაკავებული რუსლან ალდამოვი, ბადურ ჩოფანაშვილთან, რამაზ მარგოშვილთან და თემირლან მაჩალიკაშვილთან ერთად უშუალოდ ხელმძღვანელობდა ახმედ ჩატაევისა და მისი დაჯგუფების წევრების საქართველოში შემოყვანას, მათ დაბინავებას, საცხოვრებელი ბინით, საკვებით, მობილური ტელეფონებით და სხვა საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფას. ტერორიზმში ბრალდებულ ჯგუფთან კავშირზე მყოფი სხვა პირების გამოვლენის მიზნით საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება.

გამოძიება 331- ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტერორიზმის დაფინანსებას , ტერორისტული საძმიანობის სხვაგვარ მატერიალურ მხარდაჭერას ან რესურსებით უზრუნველყოფას გულისხმობს, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. სასჯელის ზომად 17-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, — აღნიშნულია სუს-ის განცხადებაში.

ტოლი ნახე, ბიჭო!

ბუზანკალი სპილოს უკანალში,

ანუ ამბავი ერთი ნაადრევად დაკოდილი თავგამწერლებული კურო-ბუღისა...

ამავე რუბრიკით ვრცელი წერილი მივუძღვენი ჭყანტ-ურიას სტალინზე გამოქვეყნებული ოპუსისათვის.

ამჟამად არ ვაპირებ პასუხის გაცემას გაურკვეველი პროფესიისა და აზროვნების ადამიანზე — ლაშიკუნა ბუღაძეზე, რადგან არაფერი წამიკითხავს და არც რამ გახმაურებული გამიგია მის შესახებ. ზოგ შემთხვევაში, როგორც ბევრი პენსიონერი და მოხუცი, მეც ჩამოვყვები ქართულ არხებს, რომ სადმე წავაწყდე რამ მნიშვნელოვანს, მაგრამ გარდა წარსულის გინებისა და ქილიკისა, ვერაფერს აღმოვაჩენ ხოლმე.

მომაბეზრებელი ერთფეროვნებისა და შტამპების მიუხედავად, მზერას მწერელ ლაშიკუნა ბუღაძის გადაცემაზე შევაჩერებ, რადგან მისი ზღვარგადასული სისულელე და ცილისწამება ნაწილობრივ, როგორც ძველ თაობას, მეც მეხება. არ მინდა, ყველას მიმართ პირი ავიმყრალო და ავყიობა გამოვიჩინო, ამიტომ ამჟამად რჩევის სახით უნდა მივმართო კალმის საცოდავად მწვალებელ ლაშიკოს: მართალია, მამაშენის „კლასში“ არ მისწავლია სამხატვრო აკადემიაში, მაგრამ ფურთხებას ადრეულ ასაკშიც, ბავშვობაში, ხშირად მივმართავდით (და ახლაც უსინდისოებს დიდი სიამოვნებით ვაფურთხებ). გულახდილად უნდა გითხრათ თქვენი უტიფრობიდან, ისტორიული თუ საარქივო მასალების უცოდინარობიდან გამომდინარე, სულითა და გულით მინდა, თუ რამე სინელდლე კიდევ შემომრჩა პირის ღრუში, თავისუფლად გავიმეტო თქვენი გადაცემისათვის.

აბსოლუტური უმეცრება, რომელსაც თქვენ ტირაჟირებას უკეთებთ ელექტრონული მედიით, ჩვენ რომ ქვეყანა ვიყოთ, ასეთი ქმედება დასჯადი უნდა იყოს, მაგრამ არა უშავს რა, დარწმუნებული ვარ, ამის დროც დადგება.

ლაშიკუნა! მწერლური თვალსაზრისით დაკოდილო კურო, არ ვიცი, რატომ ხარ ბუღაძე და რატომ ატარებ ამ გვარს. ბუღები იმ ჯოგის მეთაურად ითვლებიან, სადაც ისინი ბალახს ძოვენ და რომლებიც საჯიშედ არიან დატოვებული, ყვერებიც ნესვებივით აქვთ დაკიდებული. კარგი ბუღა თავის სამწყსოს გარშემო სხვა ბუღას ახლოსაც არ გაიკარებს. შენ! ამხანაგო ლაშიკუნა! კაცობისა და მწერლობის ყვერები ხომ ამოცლილი გაქვს, შენ ხომ იმ „ჯოგს“ არ ეკუთვნი, ვისაც მოძღვრავ, შენ ხომ სხვისი თესლით გინდა გაამრავლო სრულიად საქართველო. შენ ხომ პატრიოტი არა ხარ. შენ ხომ ამერიკისა და ევროპის თუთიყუში ხარ! თქვენ ხომ ერთმანეთის მიფურთხებისა და სქესთა აღრევის უპირველესი პროპაგანდისტი ხართ, თქვენ ხომ ქრისტეს უზანგის მკვნეტელი ბიჭები ხართ, უყვერო და უწვერულვაშო.

ლაშიკუნა-ტაშიკუნა! გაანებე სტალინს თავი, შენ არ იცი ის, შენ არც კატინი იცი და არც მარუხი. შენ არც ის იცი, რაც გგონია, რომ იცი. მაშინ მეც ხომ მეცოდინებოდა.

გასული საუკუნის ბოლოს მხატვარ უჩა ჯაფარიძის ძმა გერმანიიდან თბილისში ჩამოიყვანეს, როგორც მეფრინველეობის გამოცდილი ფერმერი და თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკაში დანიშნეს დირექტორად.

დირექტორმა ბუღალტერს თანხის გაცემა დაავალა, რაც ბუღალტერმა უკანონოდ ჩათვალა და, როგორც წესი, მეორედ მოსთხოვა განკარგულებაზე ბრძანების გაცემა. დირექტორმა იუკადრისა ბუღალტრის ასეთი საქციელი და განკარგულებას შემდეგი შინაარსის რეზოლუცია დაადო:

— „ბუხ. რაც უნდა მაღლა ახტე, შენ ყ-ზე მაღლა მაინც ვერ ახტებიო“.

ლაშიკუნა, შე „რუსთავი-2“-ის ეკრანზე მიშიკოს ქართულ-უკრაინულ დაკრულზე მობუღრავევ! გაითვალისწინე ქართველი გერმანელის გამოთქმული სიბრძნე. სპილოს უკანალში შეიძლება, თბილოდეს, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, თანამდევ „სურნელოვან“ პროდუქციას გარეთ გამოჰყვე და ყინვაში დარჩე....

გრიგოლ ონიანი

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის თანადაფინანსებით „ბიბლია – საღმრთო წიგნების კრებული“ გამოიცა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გუშინ პრემიერთან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, საპატრიარქოში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის თანადაფინანსებით ორ ტომად, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული „ბიბლიის“ პრეზენტაციას დაესწრო.

გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დაბადების დღე და აღსაყდრების 40 წლისთავი მიულოცა და გამოცემაზე მომუშავე სპეციალისტებს უდიდესი ღვაწლისათვის მადლობა გადაუხადა. საპატრიარქოში მისალოცად იმყოფებოდნენ პრემიერი, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და მთავრობის სხვა წარმომადგენლებიც. მათ პატრიარქისგან საჩუქრად ბიბლიის ახალი გამოცემა მიიღეს. თქვენო უწმინდესობავ, გილოცავთ იუბილეს და აღსაყდრების 40 წლისთავს.

რა არის მნიშვნელოვანი ამ თარიღებში, რომლის დროსაც ჩვენ ვიკრიბებით და ერთმანეთს ვუზიარებთ სიხარულს? მნიშვნელოვანია, რომ ამ თარიღების აღნიშვნისას, ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა შევაჯამოთ და კიდევ ერთხელ შევხედოთ თქვენს მოღვაწეობას და ღვაწლს.

პრეზიდენტი პატრიარქთან მისალოცად მივიდა

საქართველოს პრეზიდენტი საპატრიარქოში მივიდა. გიორგი მარგველაშვილმა პატრიარქს 85 წლის იუბილე გუშინ პირადად მიულოცა. მანამდე კი პრეზიდენტმა მისალოცი განცხადება „ფეისბუქის“ საშუალებით გაავრცელა:

– თქვენო უწმინდესობავ, გილოცავთ იუბილეს და აღსაყდრების 40 წლისთავს.

რა არის მნიშვნელოვანი ამ თარიღებში, რომლის დროსაც ჩვენ ვიკრიბებით და ერთმანეთს ვუზიარებთ სიხარულს? მნიშვნელოვანია რომ ამ თარიღების აღნიშვნისას, ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა, შევაჯამოთ და კიდევ ერთხელ შევხედოთ თქვენს მოღვაწეობას და ღვაწლს.

თქვენო უწმინდესობავ, ნებისმიერი ქრისტიანის ცხოვრება ეს არის ბრძოლა, ბრძოლა, როგორც ადამიანის შიგნით, ასევე იმ გამოწვევებთან, რომელსაც საზოგადოება და ამქვეყნიური პრობლემები მის წინაშე აყენებს.

ამ მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნისას ჩვენ ვგრძნობთ ძალას. ძალას იმიტომ, რომ აი ეს გამოწვევა, რომელიც თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაშიც არის, სწორედ ამ გამოწვევების დამმარცხებელ ადამიანს ვხედავთ, არა მოყოლით, არა იდეებში, არა წიგნად, არა თეორიულად, არამედ ცოცხლად ვხედავთ ადამიანს, რომელმაც დაამარცხა ძალიან ბევრი სირთულე. რეალურად ვხედავთ ადამიანს, რომელმაც დაამარცხა ამპარტავნება, ვერცხლმოყვარება. ადამიანმა, რომელმაც დაამარცხა ის გამოწვევები, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გვაქვს და ამ გამოწვევათა დამარცხებით თავისი თავი, ჩვენი ერი ძალად აქცია.

გმადლობთ თქვენო უწმინდესობავ, ამ საოცარი მაგალითისთვის, რომელიც ჩვენ გვაძლიერებს“...

ნამდვილად ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი სულიერი წინამძღოლი ჰყავს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს დაბადების დღეს მიულოცა.

პრემიერის განცხადებით, ნამდვილად ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი სულიერი წინამძღოლი ჰყავს.

„დღეს ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დაბადების 85 წლის იუბილეს აღვნიშნავთ. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მინდა მოვიხარო ქედი მისი უწმინდესობის იმ ფასდაუდებელი და თავდადებული მოღვაწეობისთვის, რომელიც მან ჩვენი ქვეყნისა და ერისთვის 40 წლის განმავლობაში გასწია.

მისი ლოცვითა და დაუღალავი შრომით აღსაყდრების დღიდან დღემდე აღდგა, განახლდა და აშენდა უამრავი ეკლესია-მონასტერი; მისი ქადაგება კი სათნოების, შემწყნარებლობის, მოყვასისა და სამშობლოს სიყვარულის, პატიოსნებისა და შრომისმოყვარეობის, განათლებისადმი სწრაფვის მოწოდებაა, რაც ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

ნამდვილად ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი სულიერი წინამძღოლი ჰყავს!

* * *

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ზეთისხილის ხე აჩუქა.

40 წლის წინათ განსაკუთრებული მადლი გვხვდა წილად, როდესაც ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი ილია II გახდა

– ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს 85 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა.

„40 წლის წინათ ნამდვილად განსაკუთრებული მადლი ხვდა წილად ჩვენს ქვეყანას, როდესაც თქვენ გახდით ქართული ეკლესიის და ჩვენი სულიერების საჭეთმპყრობელი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი თარიღი თითოეული ჩვენგანისთვის, სრულიად საქართველოსთვის. 40 წლის განმავლობაში თქვენი ყოველდღიური მოღვაწეობითა და ცხოვრებით გვაძლევდით მაგალითს იმისა, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი და როგორ უნდა დავუდგეთ გვერდით ერთმანეთსა და ჩვენს სამშობლოს. კიდევ ერთხელ, მინდა, მოგილოცოთ დაბადების დღე, ქედს ვიხრი თქვენს წინაშე და ვულოცავ სრულიად საქართველოს“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

გუშინვე, საქართველოს საპატრიარქომ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული ბიბლიის პრეზენტაციას უმასპინძლა. სიტყვით გამოსვლისას, ირაკლი კობახიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიბლიის აკადემიური ტექსტის გამოცემა ისტორიული მოვლენაა.

ბიბლიის ქართულ თარგმანთა კრიტიკულად დადგენილი ტექსტების სრული კორპუსის პირველი გამოცემა V-XVIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში დაცული „ძველი აღთქმის“ წიგნების სრულ მასალას მოიცავს და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა თითქმის 60-წლიანი შრომის შედეგს წარმოადგენს. წიგნი საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით დაიბეჭდა.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ პატრიარქს იუბილე მიულოცა

ჩვენი პატრიარქი გამორჩეული ფიგურაა მართლმადიდებელ სამყაროში, ჩვენი ქვეყნისთვის კი – მშვიდობის, სიყვარულის, ერთობის გარანტია. მისმა ორმოცწლიანმა ღვაწლმა განსაკუთრებული კვალი დაატყო ქვეყნის საეკლესიო თუ საერო ცხოვრებას, მიუხედავად რწმენისა და აღმსარებლობისა, ადამიანები მის სიტყვას ენდობიან და პატივს სცემენ მას. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო დიდი პატივისცემით ულოცავს საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს დაბადების დღეს და დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და კვლავაც ხანგრძლივ მოღვაწეობას უსურვებს მას“, – ნათქვამია სააგენტოს მილოცვაში.

პატრიარქს ბრონქიტი აქვს და ფართომასშტაბიანი შეხვედრები გადაიდო

პატრიარქის ექიმის ცისანა შარტავას თქმით, პატრიარქს ბრონქიტი აქვს და გართულების თავიდან ასაცილებლად ფართომასშტაბიანი შეხვედრები გადაიდო. მისივე თქმით, პატრიარქი კლინიკაში გადაყვანას არ საჭიროებს და ექიმები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ილია მეორემ საშობაო წირვა-ლოცვა თავად აღავლინოს.

„შევზღუდეთ ფართო მასშტაბის შეხვედრები, ისე იცით, რომ ახლა მიღება ჰქონდა და იყო მიღებაზე. გაცივდა, ბრონქიტი აქვს და ვიცავთ, რომ რაღაც დამატებითი ინფექცია არ იყოს. ამბულატორიულად ხდება გამოკვლევები“ – განაცხადა ცისანა შარტავამ.

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონი 1 იანვრიდან შევიდა ძალაში

1 იანვრიდან ძალაში შევიდა კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, რომლის მოქმედებაც ვრცელდება:

ა) სახელმწიფო მოსამსახურეზე;

ბ) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე;

გ) პოლიტიკური თანამდებობის პირზე;

დ) პროფესიულ საჯარო მოხელეზე (შემდგომ – მოხელე);

ე) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე;

ვ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე.

აგრეთვე ამ კანონით განსაზღვრულ საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა სხვა პირზე, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

კანონი აწესრიგებს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის საკითხებს, ადგენს შესაბამის პირთა ნახევარ განაკვეთზე მუშაობისას, ღამის საათებში, დასვენების და უქმე დღეებში და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისას შრომის ანაზღაურების პირობებს და განსაზღვრავს მათთვის დროებით დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის შრომის ანაზღაურების გაცემის წესსა და პირობებს.

კანონი ასევე განსაზღვრავს საბაზო თანამდებობრივი სარგოს მნიშვნელობას და დანიშნულებას, აგრეთვე შრომის ანაზღაურების კომპონენტების – მოხელის სახელფასო დანამატის, საკლასო დანამატისა და ფულადი ჯილდოს გაცემის საფუძვლებს. დგინდება ზოგიერთი შეზღუდვა შრომის ანაზღაურებასა და დასაქმებულთა რიცხოვნობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული კანონით განისაზღვრა კოეფიციენტების კატეგორიები თანამდებობრივი სარგოებისათვის (მათ შორის მუნიციპალიტეტებისთვის), აგრეთვე თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვრის კოეფიციენტები თანამდებობების მიხედვით.

სახელფასო დანამატი – საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის, განსაზღვრული თანხა;

საკლასო დანამატი – მოხელისათვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოხელის კლასის შესაბამისი დანამატი;

ფულადი ჯილდო – მოხელისათვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოხელის შეფასების შედეგების შესაბამისად წახალისების საშუალება; საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის (გარდა მოხელისა) მიერ მისთვის დაკისრებული ფუნქციების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის ან/და მის მიერ განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის გათვალისწინებული წახალისების საშუალება;

„ქართული ოცნების“ წევრის გიორგი კახიანის შეფასებით, აღნიშნული კანონი პრემიებთან დაკავშირებულ ნეგატიურ საკითხებსაც დაარეგულირებს.

„პირველად საქართველოს კანონმდებლობაში გვაქვს კანონი, რომელიც აწესრიგებს შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორც საჯარო მოხელეებისთვის, ისე უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებისთვის. ხელფასებთან , პრემიებთან, დანამატებთან დაკავშირებით, რომელიც ხშირად რეზონანსულია და გარკვეული, ნეგატიური დამოკიდებულება მოჰყვება საზოგადოების მხრიდან. ვფიქრობ, ამ კანონის მიხედვით, სწორედ ეს საკითხი უნდა დარეგულირდეს“, – განაცხადა კახიანმა.

◎ წერილი რუსთავიდან

ეს ბოროტი ოპოზიცია, ბოლოს და ბოლოს, უნდა აღიკვეთოს და იდეურად დასამარდეს!

ახლა, როცა 2017 წელი ისტორიის კუთვნილება გახდა, შეგვიძლია, გულდინჯად შევაფასოთ მისთვის დამახასიათებელი მოვლენები. ეს „დამახასიათებელი მოვლენები“ კი უხვად იყო. ლაპარაკია ოპოზიციის უხამსი, უზრდელი დამოკიდებულების შესახებ ხელისუფლების მიმართ.

ეს სულაც არ არის ოპოზიციის კრიტიკული დამოკიდებულება, რაც მიზნად ისახავს ხელისუფლებისთვის ხელის წაშველებას, საერთო, საქვეყნო საქმის კეთებაში მხარში ამოდგომას. პირიქით, ოპოზიცია, რომლის ნაციონალური სხეული ანტისახელისუფლებო შხამით ისეა გათანგული, რომ მისი ორი ტყუპისცალი თავი ღრენისა და კბილების კრაჭუნის გარდა არაფერს აკეთებს, ხოლო თუ პირი გააღო, ლანძღვის, გინების, სიცრუის დახვავების მეტს ვერაფერს ამოთქვამს, ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას უნიათოს და უსაქმურს ეძახიან, თქვენ არავინ გისმენთო, საკითხებს ვერ წყვეტთო, თანაც ისე, რომ მთელ პარლამენტს, მოსახლეობას ხასიათს უფუჭებს. რაც მთავარია, აიყოლიეს თვითმარქვია პარლამენტსგარეშე ოპოზიციონერები და პირდაპირ თავი წასჭამეს ამომრჩეველს, მოსახლეობას ტელეეკრანზე გამოჩენის შესაძლებლობას არ უშვებენ და მიკროფონის დანახვაზე ერთი შეხედვით სერიოზული ადამიანებიც კი უსაშველოდ აცუნდრუკდებიან ხოლმე. რაც მთავარია, ყველაფერ ამას იქმენ საზოგადოებისთვის ყოვლად მიუღებელი ტონით, უწმაწური სიტყვებით, ხულიგნურადაც კი, ერთადერთი მიზნით, წონასწორობიდან გამოიყვანონ ადამიანები.

თუნდაც ამას წინათ პარლამენტში განახლებული მთავრობის დამტკიცებისას მომხდარი შემთხვევა ავიღოთ. ჯერ გიგა ბოკერიამ მოუშალა ნერვები პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს თავისი უკუღმართი შეკითხვა-შენიშვნებით, შემდეგ კი ნიკანორ მელიამ მოუთავა ხელი, იმდენად, რომ ეს დინჯი, როგორც იტყიან, ჭკუადამჯდარი კაცი, იქამდე მიიყვანა, რომ თავს ვეღარ მოერია, არც მიკროფონს მოერიდა, არც გარშემოხვეულ ყურებდაცქვეტილ ხალხს და მელიას პირდაპირ იმ უტიფარ გაპრიალებულ ცხვირ-პირში შეუკურთხა, რამაც, კაცმა რომ თქვას, ერთობ გამომაფხიზლებლად იმოქმედა, აი ისე, როგორც ერთი ტაშტი ცივი წყლის გადავლება მოიყვანს ხოლმე გონებაზე გლახად აბორიალებულ კაცს. ერთი სიტყვით, შეკურთხებამ უშველა, თვითონაც ხომ მოკეტა და მოკეტა, ხალხსაც ყურები დაუსვენა.

მაგრამ წრეგადასული ოპოზიციონერების ენის მუცელში ჩაგდებინების ეს მეთოდი მაინცდამაინც მასობრივად გამოსაყენებელი ვერ იქნება, თუმცა ახი კი — ნამდვილად!

ერთობ დამახასიათებელი იყო ტელევიზიით მოსმენილი ერთი შეფასება კვირიკაშვილის მოქმედებისა. მის ადგილზე შენ რას იზამდიო, ერთს ჰკითხეს. მის ადგილზე ფეხქვეშ გავიგდებდი და ძვალსა და რბილს გავუერთიანებდიო.

სწორედაც! სწორედაც!

მთავარი კი ის არის, თუ ვინ აგინებს ხელისუფლებას! ვინ არიან, რომელი ბუდიდან ამოფრინდნენ, საიდან მოვიდნენ ეს უმსგავსი ოპოზიციონერი ნაციონალები — ბოკერია, მელია, რურუა და სხვები, „უბრალოდ“ ნაციონალები თუ „ევროპელები“...

არის ანდაზა „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო“. ნაციონალური ხელისუფლება, რომლის ძუძუთიც არის ნაკვები ყველა დღევანდელი მსხვილი თუ წვრილი ნაცოპოზიციონერი, გუშინ მახრჩობელა კომშივით ყელზე ადგა საქართველოს და სუნთქვას უკეტავდა, ქუჩებში სისხლის მორევი ედგა, ციხეები უდანაშაულო ხალხით ჰქონდა სავსე, საკნები პოლიტიკური პატიმრებით გამოტენილი, ყოველგვარი სამართალი და სამართლიანობა ცხრა მთას იქით იყო გადაკარგული, იჩაგრებოდა და იდევნებოდა ყოველივე ეროვნული. იმ ხელისუფლების შემოქმედნი და მონაწილენი დღეს, როცა საიდანღაც ყურით მოთრეულმა მავნე და მახინჯმა კოჰაბიტაციამ მათ სუნთქვის, თავისუფლად მოღვაწეობის უფლება და საშუალება მისცა, წელში გაიმართნენ, რატომღაც ჩათვალეს, რომ ხალხს დაავიწყდა, ვინ არიან და საიდან მოდიან და იმავე კითხვებით, რომლებიც მათ მიმართ აქვს ხალხს, თვითონ შემოუბრუნდნენ ხელისუფლებას, და ვთქვათ პირდაპირ, ყველაფერს აკეთებენ, რათა სიცოცხლე გაუმწარონ ამ ხელისუფლებას, ჩასაფრებულები არიან, რათა ჩაუფლაონ საქმე და საქმიანობა, და რაც უფრო შეფერხდება საქართველოს წინსვლა, მით უკეთესი მათთვის, გამარჯვებად მიიწერენ, ჩათვლიან, რომ მისია შეასრულეს.

ასეთი „პოლიტიკური მოწინააღმდეგე“ (წაიკითხე — „დაუძინებელი მტერი“) ჰყავს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას და განა გასაკვირია, რომ ხალხში თანდათან სულ უფრო მძლავრად ხმიანობს შეკითხვა: ხალხო, მეგობრებო, ქართველებო, რატომ ასე ინდიფერენტულად შეჰყურებთ ნაციონალთა ამ წრეგადასულ თავხედობას, აშკარა მტრულ მოქმედებას? ისე ხომ ერთიან ქვეყანას ვერ ავაშენებთ, რატომ ვუშვებთ ხელიდან შანსს, მოგვეცემა კი კიდევ შესაძლებლობა?

წლეულს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების 100 წლისთავს ვზეიმობთ. დარწმუნებული ვართ, ამ ჩვენს „ოპოზიციას“ უკვე აქვს შედგენილი გეგმა, თუ როგორ ჩაშალოს ეს დღესასწაული, ანუ გამოიყენოს იგი ხელისუფლების სალანძღავად და სათრევად. ბოლოს და ბოლოს, დემოკრატიის სახელით მათი ასე მიშვება და გალაღება აღარ შეიძლება. საზოგადოებამ, პარლამენტმა, უფრო არსებითად, უფრო აქტიურად, უფრო გადამწყვეტად უნდა ამოიღონ ხმა, შეებრძოლონ ამ სიმახინჯეს და დაამარცხონ იგი. ეს ბოროტი ოპოზიცია უნდა აღიკვეთოს და დასამარდეს! სხვა გზა უბრალოდ არ არის! ის ხომ, ფაქტობრივად, არავითარი ოპოზიცია არ არის, უბრალოდ, მტერია!

რუსთავის საპატიო მოქალაქეების
თხოვნითა და სახელით
გივი ჯახუა

თემირლან მაჩალიკაშვილის მამა წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის კლინიკისთვის ქველმოქმედებას გეგმავს

მალხაზ მაჩალიკაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ სახელმწიფოს მისი შვილის გადასაყვანად შერჩეული აქვს სამი ევროპული კლინიკა.

„ეს ამბავი როგორ ჩაივლის და რა იქნება, არ ვიცი, ჩემი შვილი გადარჩება თუ არა, ეს ღმერთმა იცის. მე ამ კლინიკაში ჩემს წვლილს შევიტან, ვგულისხმობ ქველმოქმედებას. მე იმდენად მადლიერი ვარ ამ კლინიკის, რაც შეუძლიათ გააკეთეს. რაც შეეხება გადაყვანას, თვითონ სახელმწიფოს აქვს შერჩეული სამი კლინიკა ისრაელში, ავსტრიასა და გერმანიაში და ჩემი სანათესაოც მუშაობს სხვა კლინიკებზე. ამის მერე მოხდება კლინიკის არჩევა“, — განაცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა. რაც შეეხება ხარჯების ანაზღაურებას, მალხაზ მაჩალიკაშვილმა განაცხადა, რომ „ალბათ სახელმწიფო აანაზღაურებს“. რაც შეეხება მისი შვილის საქმეს, მაჩალიკაშვილის თქმით, ის სიმართლის დასადგენად სტრასბურგამდეც მივა.

„მოვითხოვ ყველანაირ ექსპერტიზას, რომ სიმართლე დაადგინონ. მე ამას სტრასბურგამდე მივიყვან და სიმართლეს დავადგენ. ჩემთვის მნიშვნელოვანია, სიმართლე დადგინდეს. ჩემს შვილსაც ექნებოდა ბევრი შეკითხვა, მაგრამ უმისამართო ტყვიამ დაადუმა. ვცდილობ, რომ მის შეკითხვებს გავცე პასუხი“, — განაცხადა მაჩალიკაშვილმა.

ჩაწყობილი მატჩების საქმეზე დაკავებულ თემურ დათიკაშვილს ოპერაცია ჩაუტარდა

როგორც თემურ დათიკაშვილის ადვოკატმა თამარ აბესაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, მას არა აქვს სრული ინფორმაცია, თუ რასთან დაკავშირებით ჩაუტარდა ოპერაცია, თუმცა აცხადებს, რომ იგი კლინიკაში გადმოიყვანეს. ამასთან, ადვოკატი თამარ აბესაძე გამორიცხავს ბრალდებულ თემურ დათიკაშვილზე რაიმე ტიპის ფიზიკურ ზემოქმედებას და აღნიშნავს, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, სავარაუდოდ, მის სტრესულ მდგომარეობას უკავშირდება.

როგორ დავგეგმოთ ვიზიტი პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გასავლელად?

პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გასავლელად ინსპექტირების ცენტრში ვიზიტის დაგეგმვა შესაძლებელია ვებ-გვერდის www.pti.ge მეშვეობით. აღნიშნულ გვერდზე დარეგისტრირებული მომხმარებელი შეძლებს, აირჩიოს მისთვის სასურველი თარიღი და დრო ნებისმიერ ხელმისაწვდომ ინსპექტირების ცენტრში ტექნიკური ინსპექტირების გასავლელად.

ვიზიტის დაგეგმვის შედეგად მომხმარებელი მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით მიიღებს დასტურს ავტომობილის სანომრე ნიშნის მიხედვით ვიზიტის დაგეგმვის შესახებ, ცენტრის ზუსტ მისამართს (სმარტფონების მფლობელთათვის ნავიგაციის ლინკით) და შეკვეთის უნიკალურ ნომერს. ავტოსატრანსპორტო მფლობელს, ონლაინ დაჯავშნის შემთხვევაში, ინსპექტირების ცენტრში ურიგოდ მოემსახურებიან. ვიზიტის დაგეგმვა ასევე შესაძლებელია სწრაფი გადახდის აპარატების გამოყენებითაც.

პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში, 2018 წლის 3 იანვრიდან ცხელი ხაზი — „1484“ ამოქმედდა. კონსულტაციის გაცემის გარდა, ცხელი ხაზის ოპერატორები მოქალაქეებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების ცენტრებში ვიზიტის ონლაინ დაჯავშნაში დაეხმარებიან. ცხელ ხაზზე დარეკვა დამატებითი გადასახადის გადახდას არ ითვალისწინებს.

◎ წკეპლიკები

„აურიე საქართველო“

ახალ წელთან დაკავშირებით, თურმე პრეზიდენტი ნაციონალებს ღირსების ორდენით აჯილდოებს... მეტი რა იცის!

მიშა თურმე მთვარეზე აპირებს გაფრენას. არ გაუჭირდება — ღრუბელ-ღრუბელ ფრენის გამოცდილება ხომ აქვს.

ნაციონალებმა საკუთარი ნაძვის ხე დადგეს და თავისი სურათებით მორთეს. სამწუხაროდ, მალე ბოკერიას, გოცირიძის, თარგამაძის, აბესაძის, ხაბაზის, მელიას სურათები გაქრა— „თაყვანისმცემლებმა“ მოიპარეს.

საახალწლო კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ნაცების გუნდი სიმღერის პრემიერით — „აურიე საქართველო!“

ორიოდ სიტყვა უმადურობის შესახებ

უმადურობა ადამიანის სულის სიბეცეა, უზნეობაა. უმადური კაცი ცოდვილია, უმადურობა ყველაზე დიდი სასჯელია, ქართველ კაცს რომ წყევლად ათქმევინა, ღმერთმა უმადური გაგხადოსო.

სამწუხაროდ, ერთობ ბევრი გვყავს უმადური. სიკეთეს, მადლს გინებით პასუხობენ.

ბატონი ბიძინა ივანიშვილის სიკეთეს, უდიდეს ქველმოქმედებას, რომლის მსგავსი იშვიათად ვინმეს ჩაედინოს, სამწუხაროდ, ბევრი არაფრად აგდებს, პირიქით... ზოგმა ისიც კი იკადრა, რომ მის სიკეთეს იღებდა, თან აცხადებდა, არ ვიცოდი, ვისგან იყოო... ბატონო ბიძინა, აპატიეთ უმადურთ!

* * *

P. S. დაუკვირდით სიტყვებს — „მადლი“, „მადლობა“. ეს ორი დიდებული ქართული სიტყვა განუყოფელია.

ლონდა მდივანი

მიტროპოლიტი ილარიონი და საქართველოს პატრიარქი ილია II

პოლიტიკური გორდიას კვანძი

2017 წლის ბოლოს მომხდარი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა: საქართველოს და რუსეთის საპატრიარქოები აფხაზეთის საეკლესიო საკითხების მოგვარებისთვის ერთობლივ მუშობას იწყებენ. ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარესთან, მიტროპოლიტ ილარიონთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ოკუპირებულ რეგიონში ილია მეორეს და მიტროპოლიტ ილარიონის შეხვედრის შესახებ მასმედიიდან შეიტყვეს, ხოლო მასზე გაჟღერებულმა ინიციატივებმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია: აფხაზი ინტერნეტ-მომხმარებლები რუსულ-ქართული საეკლესიო კომისიის შექმნის იდეას აგრესიული სარკაზმით შეხვდნენ; დე ფაქტო ხელისუფლება — უჩვეულოდ თავშეკავებულად; მოსკოვის მიერ მართული ე.წ. „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია“ ჯერ-ჯერობით დუმს, მასთან დაპირისპირებული „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის“ ხელმძღვანელმა **დოროთე დბარმა** კი ეს იდეა, ერთის მხრივ, „წმინდა მიტროპოლიასთან“ ბრძოლის კონტექსტში აღიქვა და, ამავდროულად, რუსეთის ინიციატივად, რომელსაც თბილისი იძულებით თანხმდება. მისი აზრით, სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიციატივა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნის, ხოლო ამის მიზეზი „წმინდა მიტროპოლიისა და ახალი ათონის მონასტრის მიმართ საკითხის ძალისმიერი გზით გადაჭრის შეუძლებლობა და ყველა შესაბამის მცდელობის უშედეგობაა“:

„ახალათონელი სასულიერო პირებისთვის მოღვაწეობის 7-წლიანმა აკრძალვებმა შედეგი ვერ გამოიღო. იყო ამ საკითხის გადაწყვეტაში რუსი და აფხაზი პოლიტიკოსების ჩართვის მცდელობები, რათა ზეწოლა განეხორციელებინათ წმინდა მიტროპოლიის წარმომადგენლებზე, თუმცა ესეც უშედეგო აღმოჩნდა. ამჟამად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები ახალი გზისა და ზემოქმედების ინსტრუმენტის გამონახვას ცდილობენ ქართულ მართმადიდებელ ეკლესიასთან შეთანხმების მიღწევის გზით. საუბარია ცნობილ წინადადებაზე, რომელმაც უკვე გაიჟღერა 2012 წელს — ე.წ. ორმაგი იურისდიქციის შესახებ. ანუ, აფხაზეთის ტერიტორია დე იურე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ მმართველობაში რჩება, დე ფაქტო კი დროებით რუსული მართმადიდებელი ეკლესიის სასულიერო მართვაში გადადის. ასეთ შემთხვევაში რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას აფხაზეთში ეპისკოპოსის ხელდასხმა შეუძლია. რაც შეეხება ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, მისი პოზიციები კიდევ უფრო სუსტია და იგი უსუსურად გამოიყურება, ვინაიდან ამ 25 წლის განმავლობაში ყველა მისი მოქმედება, მათ შორის ახლაც — აფხაზური საეკლესიო საკითხის გადავადების მცდელობაა იმ მიამიტურ იდეაზე დაყრდნობით, რომ დროთა განმავლობაში ყველა აფხაზი მოულოდნელად ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისკენ იქცევს პირს და მის მმართველობაში დარჩენას მოისურვებს. და მეორე: მათი უსუსურობა იმას უკავშირდება, რომ იძულებულები არიან, წავიდნენ გარკვეულ დათმობებზე, მათ შორის — ამ კომისიის შექმნაზე, ვინაიდან კულისებიდან რუს კარდინალად გვევლინება ბიძინა ივანიშვილი და სხვა ქართველი პოლიტიკოსები, რომლებსაც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, რუსეთთან სრულიად მკაფიო კავშირები გააჩნიათ. წმინდა მიტროპოლია მომგებიან მდგომარეობაშია, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ზეწოლა შესაძლოა, გაიზარდოს: მიტროპოლია არ არის დამოკიდებული არც საქართველოს, არც რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიებზე და დამოუკიდებლად შეუძლია მოქმედება. ჩვენი პოზიცია არ შეიცვლება. ანუ, ჩვენ ვსაუბრობთ მართლმადიდებელთაშორისი კომისიის შექმნაზე ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვითა და მსოფლიო პატრიარქის თავმჯდომარეობით და აფხაზეთში დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიის ეტაპობრივ აღდგენაზე, რასაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა უჭერს მხარს“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1

თბილისი-მოსკოვი-სოხუმი-ცხინვალი: რაღაც აშკარად ხდება, მაგრამ რა?

ახალი ათონის მონასტერი

თავად თბილისშიც აფხაზეთის საეკლესიო საკითხის მოსაგვარებლად რუსეთთან თანამშრომლობის იდეამ ასევე არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მამა კახაბერის განცხადებით, კომისიის შექმნის მთავარი მიზანი ოკუპირებულ რეგიონში ქართული ღვთისმსახურების აღდგენაა და თუ ეს მიზანი განხორციელდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება ქვეყნისათვის. თუმცა ქართველი ექსპერტების ნაწილი ამ გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვან რისკებს ხედავს.

„რისი მიღწევა შეუძლია საქართველოს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისგან მსგავსი თანამშრომლობით? — არაფრის. რუსეთს საქართველოსგან აფხაზეთში მორიგი ძალადობის ლეგიტიმაცია სჭირდება იმ საეკლესიო ძალის მიმართ, რომელიც რუსული ეკლესიის მხრიდან აფხაზეთში მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარე რუსიფიკაციის პოლიტიკას ეწინააღმდეგება. მიმდინარე მოვლენები კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მანიპულაციის ინსტრუმენტია რუსული ეკლესიის ხელში“ — დარწმუნებულია თეოლოგი **ბექა მინდიაშვილი**.

კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** კი ამ კონტექსტში იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ საქართველო—რუსეთის საეკლესიო ალიანსი „აბსოლუტურად არ ითვალისწინებს ქართულ—აფხაზური კონფლიქტის გადაწყვეტის ინტერესებს“:

„ბოლომდე გასაგები არ არის, რასთან მიგვიყვანს ეს ყველაფერი, თუმცა ნათელია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აფხაზეთში რუსული ეკლესიის წარმოდგენილობას ზრდის. იმ ფონზე, რომ რუსეთს აფხაზეთის ტერიტორია აქვს ოკუპირებული, არა მგონია, ეს საქართველოსთვის საუკეთესო ვარიანტი იყოს. არ ვიცი, რამდენად აქვს შეთანხმებული ჩვენს ეკლესიას საკუთარი ქმედებები პოლიტიკოსებთან და საქართველოს მთავრობასთან. თუ ეს მათთან შეთანხმებული არ არის, ეს მაინცდამაინც კარგი არ უნდა იყოს. ის, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ თემაზე განცხადებები არ გაუკეთებია, შესაძლოა, კარგიც იყოს და ცუდიც — იმისდა მიხედვით, რა მიზეზი ჰქონდა ამას: ან არ იციან, რა ხდება, ან იციან და სიტუაციის კიდევ მეტად დაძაბვა არ სურთ. აფხაზური საზოგადოება გაყოფილია, თანაც არატოლ ნაწილებად: უმრავლესობა არ მიესალმება რუსეთის მაღალ ჩართულობას აფხაზეთის რელიგიურ-საეკლესიო საქმეებში. საქართველოს ეს უნდა გაეთვალისწინებინა“, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვაზე, ჩააყენა თუ არა წინასწარ საპატრიარქომ საქართველოს ხელისუფლება საქმის კურსში ხსენებულ იდეასთან დაკავშირებით, არ არსებობს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში **ზურაბ აბაშიძე** აცხადებს, რომ „ამის შესახებ ღიად ითქვა, განცხადებები გაკეთდა და აქ დამალული არაფერია“, თუმცა საკითხის მეტად დაკონკრეტებისგან თავს იკავებს.

საქართველოს ხელისუფლების პოზიციას კი აბაშიძე ასე განმარტავს:

„ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი საპატრიარქოს პრერეგატივაა. თუკი მოსკოვის საპატრიარქოსთან ეს ურთიერთობები რაღაც სიკეთეს მოიტანს აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში, ეს, რა თქმა უნდა, დადებითი მოვლენა იქნება“.

რაც შეეხება ექსპერტების შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ ხსენებულმა საეკლესიო თანამშრომლობამ შესაძლოა, კონფლიქტების დარეგულირების კუთხით საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას შეუქმნას პრობლემები, **მამა კახაბერი** ამ მოსაზრებას არ იზიარებს:

„კომისიის შექმნა იმას ისახავს მიზნად, რომ ჩვენს სასულიერო პირებს იქ (აფხაზეთში) ღვთისმსახურების აღსრულების საშუალება მიეცეთ და თუკი საქართველოს საპატრიარქოს შესაძლებლობა ექნება, იქ თავისი კანონიერი მოქმედება განახორციელოს და მსახურება დაიწყოს, დადებითის მეტი, რა შეიძლება, მოიტანოს ამან ჩვენი ხელისუფლებისთვის? თუ იქ ჩვენი სამღვდელოება საზოგადოებასთან იმუშავებს და იმ წესებს შეასრულებს, რომლის აღსრულების საშუალება აქამდე არ ჰქონდა, ეს რაში შეიძლება, უშლიდეს ხელს სახელმწიფოს პოლიტიკას?! მე აქ რაიმე სხვა, დამაბრკოლებელ ნიშანს ვერ ვხედავ, პირიქით“, — დასძინა მამა კახაბერმა.

რომ შევაჯამოთ, თბილისს, მოსკოვს, სოხუმსა და ცხინვალს შორის რაღაც ხდება, მაგრამ რა — უცნობია!

„აქცენტი“ სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“

(დასასრული მომდევნო ნომერში)

სასჯელის ახალი სახე შინაპატიმრობა პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში

შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის ახალი სახე 2018 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ მოამზადა. აღნიშნული პარლამენტმა სამი მოსმენით დაამტკიცა. ცნობისთვის, სასჯელის ახალი სახე — შინაპატიმრობა სრულწლოვან მსჯავრდებულებზეც გავრცელდება. ამ დრომდე აღნიშნული სასჯელის სახე მხოლოდ არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენებოდა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ცნობით, შინაპატიმრობა არასაპატიმრო სასჯელის სახეა და მსჯავრდებულისთვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის ვალდებულებას ითვალისწინებს. „შინაპატიმრობა, მოსამართლის მიერ შესაძლოა, დაენიშნოს ნასამართლობის არმქონე პირს ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით; შინაპატიმრობა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად; პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს კი, სასჯელი შინაპატიმრობით შეიძლება შეუცვალოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივმა საბჭომ.

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მონიტორინგის ცენტრი. პირს, რომელსაც სასჯელის სახედ შინაპატიმრობა აქვს განსაზღვრული, როგორც წესი, ფეხზე სპეციალური სამაჯური უმაგრდება, რომელიც ელექტრონულად დაკავშირებულია მონიტორინგის ცენტრთან. განსაზღვრული დღის განრიგის, პერიმეტრის დარღვევის ან სამაჯურის დაზიანების შემთხვევაში, სიგნალი ელექტრონული მონიტორინგის ცენტრს გადაეცემა. სწორედ ამის შემდეგ იწყება შესაბამისი რეაგირება დარღვევაზე.

შინაპატიმრობა არ დაენიშნება გაწვეულ სამხედრო მოსამსახურესა და ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირს. შინაპატიმრობის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს საქართველოს საზღვრის გადაკვეთა ეკრძალება.

ფაროსანა არანაკლებ საშიშია, ვიდრე ტყის ხანძარი!

ბელს საქართველო რუსეთიდან ბუნებრივ აირს აღარ შეიძენს

ეკონომიკის მინისტრის 28 დეკემბრის ბრძანებით, 2018 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსი დამტკიცდა, რომლის მიხედვითაც, მიმდინარე წელს საქართველო რუსეთიდან ბუნებრივ აირს აღარ შეიძენს, – აღნიშნულ ინფორმაციას „ბიზნესპრეს ნიუსი“ ავრცელებს.



ბალანსის თანახმად, 2018 წელს საქართველო 2.680 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მიღებას სრულად აზერბაიჯანისგან გეგმავს. კერძოდ, 1.866 მილიარდ კუბურ მეტრს „სოკარისგან“, 813,9 მილიონ კუბურ მეტრს შაჰ-დენიზისგან მიიღებს, ხოლო 9,4 მილიონი კუბური მეტრი ადგილობრივი მოპოვებაა.

„მაგთის“ მობილური ინტერნეტი ძვირდება

18 იანვრიდან კომპანია „მაგთიკომი“ მობილური ინტერნეტის ფასს აძვირებს. 500 მბ ინტერნეტი 3 ლარის ნაცვლად 5 ლარი ეღირება, 1000 მბ 5-ის ნაცვლად – 7, ხოლო 2000 მბ 7 ლარის ნაცვლად – 12.

ბოლო ოფიციალური მონაცემებით, „მაგთიკომს“ ამჟამად 1,952 310 აბონენტი ჰყავს და ის ბაზარზე ლიდერია.

გორში ბუნებრივ აირზე დარიცხულ გადასახადს აპროტესტებენ

კომპანია „საქგორგაზთან“ შეკრებილები აცხადებენ, რომ დეკემბრის თვის ხელოვნურად გაზრდილი გადასახადი მიიღეს და დარიცხული თანხის ჩამოწერას ითხოვენ.

ადგილობრივები ამბობენ, რომ მიმდინარე თვეს ბუნებრივი აირის მოხმარება არ გაუზრდიათ, თუმცა ქვითრებზე გაორმაგებული გადასახადი მიიღეს.

გაზის გამანაწილებელი კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზის“ შვილობილი კომპანიაა და აქციის მონაწილეები შეხვედრას კომპანიის წარმომადგენლებთან ითხოვენ.

„მოვითხოვთ ზედმეტად დარიცხული თანხების ჩამოწერას, ან პასუხი გაგვცენ რასთან გვაქვს საქმე. ყინვები არ იყო და შესაბამისად, იგივენაირად მოვიხმართ ბუნებრივ აირს, როგორც გასულ თვეს. არ ვიცით, რამ გამოიწვია ასეთი დიდი სხვაობა. ამას არ მოვითმენთ. როგორც გავიგეთ, კომპანია ამ სხვაობას სადღესასწაულო დღეებს უკავშირებს. ალბათ, შესაბამისი უწყებები უნდა დაინტერესდნენ და პასუხი გაგვცენ“, – აცხადებს აქციის ერთ-ერთი მონაწილე ლილი ჯუსტიშვილი.

აზიურ ფაროსანასთან საბრძოლველად ქართველმა მეცნიერებმა ბიოლოგიურად სუფთა, ადამიანისა და გარემოსთვის უსაფრთხო პრეპარატი შექმნეს. თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სწორედ ადგილობრივი ჩინოვნიკებისგან წააწყდნენ წინააღმდეგობას. რატომღაც სურსათის ეროვნულ სააგენტოს ურჩევნია, თურქეთიდან შემოიტანოს „ბიფენტრინის“ ჯგუფის გაურკვეველი შინაარსის პრეპარატი, ვიდრე ქართველ მეცნიერებს დაეხმაროს გლობალური მიზნის მიღწევაში. ტოქსიკური „ბიფენტრინი“ კი ფაროსანასთან ერთად, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობას, ისე ადამიანების ჯანმრთელობასაც დიდ ზიანს მიაყენებს.

საქართველოში წარმოებული და მიჩქმალული ახალი პრეპარატის შესახებ For.ge-ს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საინჟინრო ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტის დირექტორი **არჩილ ჭირაქაძე** ესაუბრა.

რატომ იბლოკება ფაროსანას წინააღმდეგ საქართველოში წარმოებული პრეპარატი?!

— აზიური ფაროსანა საქართველოში პირველად 2015 წელს გამოჩნდა, 2016 წელს კი თხილის მოსავლის დიდი ზარალი გამოიწვია. ხომ არ სჯობს, ამ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლა დავიწყოთ ზამთარში, როცა მას სძინავს, რადგან ერთი ფაროსანას განადგურება 200-მდე ფაროსანას მოსპობას ნიშნავს? რომელი პრეპარატია განსაკუთრებით ეფექტური ფაროსანასთან საბრძოლველად?

— ფაროსანასთან ბრძოლა, პრაქტიკულად, განუწყვეტლივ უნდა მიმდინარეობდეს. როდესაც ფაროსანა გამოიზამთრებს, იგი ცოტა ძნელად მიღწევადია, მაგრამ უძრავადაა და, თუ დაზვერავ და გაიგებ მისი განთავსების ადგილებს, ბევრად ადვილი მოსასპობია. ამიტომ მართალი ბრძანდებით, ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ტოქსიკური პრეპარატების გამოყენებით. საქართველოში განსაკუთრებულ პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ სავსებით არ არის დაცული პრეპარატ „ბიფენტრინის“ ინსტრუქციის მოთხოვნები, რომელიც ძალზე მკაცრად არეგულირებს ამ პრეპარატის გამოყენებას. მით უმეტეს, რომ ეს პრეპარატი გახლავთ მეორე კლასის ტოქსიკანტი. მოგეხსენებათ, ეს მაღალი კლასია და ადამიანისთვის საშუალო ტოქსიკურობად ითვლება. ეს პრეპარატები ძალზე ტოქსიკურია ფუტკრისთვის, ფუტკრის მნიშვნელობა კი საქართველოს ბუნებისა და ზოგადად სოფლის მეურნეობისთვის შეუფასებელია. ამასთან, აღნიშნული პრეპარატი პოტენციური კანცეროგენია, რაც ნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, ის ადამიანისთვისაც კანცეროგენურია. ასევე, რეპროდუქციულ, ანუ გამრავლების სისტემასა და ენდოკრინულ, ანუ ნივთიერებათა ცვლაზეც მოქმედებს. მოკლედ, ძალიან რთული პრეპარატია. ამიტომ მისი მოხმარება ზუსტად რეგლამენტირებული უნდა იყოს. აშშ-ში პირდაპირ წერია ყველა ინსტრუქციაში, რომ ამ ინსტრუქციის დარღვევა ფედერალური კანონმდებლობის დარღვევის ტოლფასია, ანუ სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება.

— როდიდან გამოიყენება ეს საშიში პრეპარატი?

— ეს პრეპარატი დიდი ხანია, 90-იანი წლებიდან არსებობს, მაგრამ მისი გამოყენება იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოწმდება ეს პრეპარატი. არსებობს პირეტროიდების ტიპის ჯგუფის პრეპარატები, რომლებიც სხვადასხვა დანიშნულების, სხვადასხვა არეალისაა და გამოყენების წესიც ზუსტად არის მიბმული პრეპარატის კონკრეტულ თვისებებზე. ასეთ პრეპარატს ახლავს 20-დან 30 გვერდამდე წვრილი შრიფტით დაწერილი ინსტრუქცია. ჩვენთან კი მოქმედებს ინსტრუქცია, რომელიც მხოლოდ 4-გვერდიანია, იქიდანაც ორი გვერდი შესავალი და დასასრულია. ანუ, ფაქტობრივად, ორგვერდიანი მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ინსტრუქცია გვაქვს. ცხადია, ეს ინსტრუქცია ამ პრეპარატის სწორ გამოყენებას ვერ უზრუნველყოფს. არ დაგვავიწყდეს, რომ პრეპარატი ძალზე ტოქსიკურია თევზებისა და წყლის ყველა ორგანიზმისთვისაც. ამიტომ მისი გამოყენება უნდა ხდებოდეს ისე, რომ წყალი არ ჩაიღვაროს ჭაში, სანიაღვრე წყლები არ ჩაიღვაროს და ა.შ. ეს დიდი პრობლემაა და არ შეიძლება მისი უბრალოდ გაფრქვევა ჰაერში, მოხვედრა ადამიანის ტანსაცმელზე, სახლებში, დიდ ფართობებზე მისი დასხურება იატაკზე, კედლებზე.

— ე.ი. ეს პრეპარატი სპეციალისტებმა უნდა გააფრქვიონ ჰაერში და არა უბრალო გლეხებმა?

— მე სულ აშშ-ის მაგალითი მომყავს, სადაც მოქმედებს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო, მძლავრი ავტორიტეტული ორგანიზაცია, რომლის გადაწყვეტილებებსაც კანონის ძალა აქვს. მათი რეკომენდაციით, აუცილებელია, პრეპარატი გააფრქვიოს კვალიფიცირებულმა, ინსტრუქტირებულმა პიროვნებამ. როდესაც ჩვენ სურსათის ეროვნული სააგენტო გვეუბნება, რომ 210 ათას, თუ გინდაც, 21 ათას ოჯახს დაურიგეს პრეპარატი, ეს ნიშნავს, რომ, მინიმუმ, ამდენივე ათასი ინსტრუქტაჟგავლილი პიროვნება მაინც უნდა გაიყოლონ. თუმცა როგორ მოასწრეს ინსტრუქტაჟის გავლა, ან ვინ გაატარა ასეთი ინსტრუქტაჟი? ან იმ მძღოლებს, რომლებიც დიდ მანქანებს ატარებენ და პირდაპირ მანქანიდან აფრქვევენ „ბიფენტრინს“, ვინ ჩაუტარა ინსტრუქტაჟი?

— რა ჯდება „ბიფენტრინის“ პრეპარატი და ანალოგიური პრეპარატები თუ არსებობს მსოფლიოში?

— მე არ ვიცი, ჩვენი სურსათის სააგენტო რა თანხად შეიძენს მას, მაგრამ მაღალხარისხიანი „ბიფენტრინი“ 4-ლიტრიან შეფუთვაში დაახლოებით 48 დოლარი ღირს. ჩვენს მიერ შეძენილი თურქული „ბიფენტრინი“ კი არც ერთ ქვეყანაში არ გამოიყენება. ყურადღებით შევისწავლეთ ეს პრეპარატი, რომელსაც ასეთი სახელი ჰქვია – „ზონდერი“. ის შეძენილია თურქეთში და მის შესახებ არაფერი ვიცით, რადგან ეს ოთხგვერდიანი ინსტრუქცია ზოგადია, ფაქტობრივად, აქ ამოკრებილია ყველა ინსტრუქციიდან ზოგადი დებულებები. ამიტომ როგორ უნდა მოხდეს მისი გამოყენება, ვერ დავადგინეთ.

— ჩვენი კეთილმოსურნე მეზობლების ინტერესებზე რომ ვიფიქროთ, შესაძლოა, ამ „ზონდერის“ მეშვეობით დაწამლონ მთელი ჩვენი სოფლის მეურნეობა?

— ასე კატეგორიულად ვერ ვიტყვი, რადგან დივერსიის მოსაწყობად ჩვენს ბუნებაში განფენილი ბევრად უფრო იოლი საშუალებები არსებობს. შესაძლოა, ამ პრეპარატის გამოყენება პირდაპირი დივერსია არ იყოს ადამიანების წინააღმდეგ, რადგან ადამიანი მაინც მეტნაკლებად თავს იცავს მისი ზემოქმედებისგან, მაგრამ ბუნების წინააღმდეგ შეიძლება საშინელი დივერსია მივიღოთ. ამას ახლავს კიდევ ერთი საშიშროება. ფუტკრის პრობლემა მარტო თაფლი ხომ არ არის? ფუტკრის პრობლემაა, რომ მცენარეთა დამტვერვა აღარ მოხდება და ბუნება განადგურდება, თევზი განადგურდება. კიდევ არის ძალიან ბევრი სასარგებლო მწერი, რომელიც სოფლის მეურნეობის სხვა მავნებლებს ანადგურებს. ამიტომ ამ პრეპარატის გამოყენება არ შეიძლება წყალსატევების, ტბების, მდინარეების, სარწყავი არხების მახლობლად, ჭები უნდა დაიხუროს. არასწორად გამოყენებული ეს პრეპარატი მხოლოდ ფაროსანას არ გაანადგურებს. როგორც ჩანს, ამ პრეპარატით ფაროსანასთან ბრძოლა მაინც არაეფექტურია საქართველოს კლიმატის გამო. დასავლეთ საქართველოში ძალზე ტენიანი კლიმატია. ამ ყველაფერს კომპლექსური და დეტალური შესწავლა სჭირდება და არა ის, რომ 70 ათასი ლიტრი შევასხურეთ, უკვე მარტიდან 360 ათას ლიტრს შევასხურებთ მაშინ, როცა არ გვაქვს ზუსტი ინსტრუქცია, არ გვყავს გაწვრთვნილი სპეციალისტები, არ გვაქვს ტანსაცმელი, რომელიც მათ უნდა ეცვათ. ვერ დავიჯერებ, რომ საქართველოს სოფლებში იმდენად შეძლებულნი არიან, რომ ერთხელ რომ მოხვდებათ „ბიფენტრინი“ ტანსაცმელზე, იმ ტანსაცმელს მერე გაწმენდის გარეშე აღარ ჩაიცვამენ, ან იმ წუთშივე გაიხდიან. ათასი წვრილმანია. ამ მეთოდის შეცვლას სურსათის ეროვნული სააგენტო არც აპირებს, ჯიუტად როგორც დაიწყეს, ისე აპირებენ ამის გაგრძელებას.

— სურსათის ეროვნულ სააგენტოში, იქნებ, არ იციან, რომ უკეთესი პრეპარატებიც არსებობს, თუ არ სურთ ამის დანახვა?

— უბრალოდ, მათ ძალიან სურთ, უპატაკონ მთავრობას, თითქოს ყველაფერი მშვენივრადაა. სხვათა შორის, პრესაში აგიტაციის გასაწევად გამოყოფილია სამი თუ ხუთი მილიონი ლარი. მეცნიერებისთვის კი არაფერია გამოყოფილი, გარდა სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სამინისტროს კვლევითი ლაბორატორიების, რომლებიც თავიანთი პოტენციალით ბევრად ჩამორჩებიან ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიებს, ჯავახიშვილის უნივერსიტეტს, ილიაუნის მეცნიერულ პოტენციალს. რატომღაც სამინისტრო ყველაფერს სურსათის ეროვნულ სააგენტოს ავალებს, ისიც არეგისტრირებს პრეპარატს, ყიდულობს ამ პრეპარატს, მოიხმარს და მერე თვითონვე აფასებს შედეგებს, თუ როგორი „წარმატებით“ მოხდა ამ კამპანიის ჩატარება.

იხ. მე-8 გვ.

ერთი კარგი ბაღი იყო მთელ სამეგრელოში და... ისიც დანგრეულია!

ახალ წელს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი ძველი იერსახით და მორიგი დაპირებით შეხვდა

„ყველაფერი გათვალისწინებულია. 2017 წელს დაიწყება ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია. გაზაფხულის ბოლოს, მაქსიმუმ ზაფხულის დასაწყისში, ეს პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება“, — ჯერ კიდევ 2016 წლის მიწურულს „გვახარა“ ზუგდიდის ყოფილმა მერმა ირაკლი გოგოხიამ.

ასეთივე ოპტიმისტური იყო მისი განწყობა 2014 წელსაც, როცა ის ქალაქის მერი გახდა, თუმცა ისე ამოწურა ვადა, რომ დაპირება ვერ შეასრულა. მისი მერობის პერიოდში შემუშავდა მხოლოდ პროექტი, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდს გადაეგზავნა.

ამჯერად ბოტანიკური ბაღის აღდგენის იმედს ზუგდიდელებს ახალი მერი ლაშა გოგია აძლევს. ეს დაპირება მის წინასაარჩევნო კამპანიაშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა.

დაპირებიდან დაპირებამდე კი ზუგდიდელები იმის მოლოდინში არიან, თუ როდის აღადგენენ ქალაქის მთავარ, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის, მეცხრამეტე საუკუნის ძეგლს, რომლის მდგომარეობაც წლიდან წლამდე უარესდება.

ქალაქის შუაგულში 26 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ ბაღში ეკალ-ბარდები ხარობს. დაავადებისგან გამხმარია კოლხური ბზის დიდი ნაწილი. გასხვლას საჭიროებს ხე-მცენარეები. ზოგიერთი მათგანი სიძველისა და მოუვლელობის გამო მოსაჭრელია. ამორტიზებულია და შესაკეთებელი შენობები, სადაც წლების წინათ ბაღის ადმინისტრაცია და ორანჟერეა იყო განთავსებული. ბოტანიკური ბაღი ქალაქის მოუვლელ ტყედ იქცა.

ზუგდიდელები რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში უკვე მერამდენედ გამოხატავენ გულისტკივილს ბაღის ამჟამინდელი მდგომარეობის გამო: **„ძალიან მოუწესრიგებელია და გული მწყდება. ეს მისატოვებელი ადგილი ნამდვილად არ არის, ყველასთვის საყვარელი ადგილია და გული დაგწყდება, უბრალოდ. აი, მართლა მესიამოვნება, წლების წინათ რაც იყო, ის თუ არა, სანახევროდ მაინც აღდგება. ერთი დღე სიამოვნებით მოვალ დასუფთავებაზე, თუ ვიქნი საჭირო“;**

„დაინგრა და ეს ვერ აღადგინეს. ეს ერთი პარკი გვაქვს ჩვენ, რომლითაც ვამაყობთ სამეგრელო და განსაკუთრებით ზუგდიდი და ახლა დანგრეულია. სასწაულია!“

„წინათ ლამაზი იყო, მოვლილი იყო ჩვენი ბაღი. ახლა არ არის ასეთ მდგომარეობაში“;

„მე ჩემი ბავშვობა ამ ბაღში გამიტარებია და მახსოვს, აქ ფარშევანგები დადიოდნენ, ძალიან მოწესრიგებული იყო ყველაფერი და მუშაობდა. ახლა, როგორც ვიცი, დაიწყება მალე განახლება და ძალიან მოხარული ვარ მე და იქნება მთელი ზუგდიდი და მთელი საქართველო. ეს ისტორიული მნიშვნელობის ბაღია და უნდა აღდგეს აუცილებლად“.

ზუგდიდელებს „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ ჰპირდება, რომ ბოტანიკური ბაღის სარეკონსტრუქციო სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. როგორც რადიო „თავისუფლებას“ ფონდის პრესსამსახურში განუმარტეს, მათ მიერ გამოცხადებულ ტენდერში უკვე გამოვლინდა გამარჯვებული, რომელიც ამ სამუშაოებს შეასრულებს. ფონდის წარმომადგენლები ზუგდიდში ჩამოსვლას და ამ თემაზე განცხადების ადგილზე გაკეთებას აპირებენ.

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით კი, ბოტანიკური ბაღის რეკონსტრუქციის შესახებ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული შპს „ჯავაა“. საერთო ჯამში, ბაღის აღდგენას 11 მილიონ 974 ათას 436.72 ლარი უნდა მოხმარდეს.

სამუშაოების დამკვეთი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოა, შემსრულებელი — აააპ „საქართველოს მუზეუმების ასოციაცია“. შედეგად, ბოტანიკური ბაღის სრული აღდგენა იგეგმება. სამუშაოები დაწყებიდან 18 თვეში უნდა დასრულდეს.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა ტენდერი ქალაქ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეკონსტრუქციისთვის 6 ოქტომბერს გამოაცხადა. მასში მონაწილეობა სულ სამმა კომპანიამ მიიღო.

თამარ ზანთარაია

ჩემპიონია „ქინძმარაული“!

2017 წელს რეკორდული რაოდენობის ქართული ღვინოა ექსპორტირებული

გასულ 2017 წელს საქართველოდან ბოლო თითქმის 30 წლის მანძილზე რეკორდული რაოდენობის ღვინოა ექსპორტირებული, რაც ღვინის ინდუსტრიისა და მეღვინეობა-მევენახეობის დარგის მარეგულირებელი შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების კოორდინირებული და ეფექტური თანამშრომლობითაა მიღწეული.

ინფორმაციას ამის შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2017 წელს, საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 76,7 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 54%-ით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 170 მლნ-მდე აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, ზრდამ 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 49% შეადგინა.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი — 43% (7 585 407 ბოთლი), რუსეთი — 76% (47 778 920), უკრაინა — 46%(8 502 554), პოლონეთი — 15% (2 676 440), ლატვია — 20% (1 505 138), ბელარუსი — 56% (1 827 130), აშშ — 56% (457 920), გერმანია — 38% (404 538), ისრაელი — 150% (213 074), მონღოლეთი — 82% (168 162), საფრანგეთი — 178% (99 796), აზერბაიჯანი 75% (141 294) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი (47 778 920 ბოთლი), უკრაინა (8 502 554), ჩინეთი (7 585 407), ყაზახეთი (3 322 867) და პოლონეთი (2 676 440).

ადგილწარმოშობის დასახელებებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტირებულია „ქინძმარაული“ — 12,8 მლნ ბოთლი, შემდეგ მოდის „მუკუზანი“ — 4,2 მლნ, „წინანდალი“ — 3,4 მლნ, „ახაშენი“ — 1,5 მლნ, „ხვანჭკარა“ — 887,5 ათასი, „ტვიში“ — 308,8 ათასი ბოთლი და ა.შ. 2017 წელს სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 250-მდე კომპანიამ განახორციელა.

ამასთან, მსოფლიოს 26 ქვეყანაში ექსპორტირებულია 18,4 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 78%-ით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 39,4 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი — მატება 70%-ს აღწევს.

მსოფლიოს 23 ქვეყანაში ექსპორტირებულია 288 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 180% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 846,3 ათას აშშ დოლარს შეადგენს, ზრდამ 2016 წელთან შედარებით 148%-ს მიაღწია.

მთლიანობაში — ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ჩამოსასხმელი ბრენდის, ღვინომასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები 283,8 მლნ აშშ დოლარს შეადგენს — ზრდამ 2016 წელთან შედარებით 46%-ს მიაღწია.

ყავლაშვილის №9-ში ისტორიული სახლის რეაბილიტაცია დასრულდა

ჩატარებული სამუშაოების გასაცნობად ადგილზე დედაქალაქის მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანი და თბილისის განვითარების ფონდის დირექტორი გიორგი ბაიდარაშვილი იმყოფებოდნენ.

„სამუშაოები დაახლოებით, ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროექტის ფარგლებში, გვერდით მდებარე სახლის მშენებლობაც ხდება, რომელიც ერთ წელიწადში დასრულდება. აღნიშნული სამუშაოების შედეგად, რეაბილიტირებულ სახლში 14 ოჯახი იცხოვრებს“, — აღნიშნა ირაკლი ბენდელიანმა.

თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის განცხადებით, ყავლაშვილის ქუჩაზე მდებარე შენობის რეაბილიტაცია, მისი ავარიული მდგომარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ რთული იყო.

„ძეგლის აღდგენის ფარგლებში, ერეკლეს ქ. №6-7-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციაც დავიწყეთ, რომლის შედეგადაც, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ჯამში 30-მდე ოჯახი, რეაბილიტირებული ფართებით ისარგებლებს“, — განაცხადა გიორგი ბაიდარაშვილმა.

პროექტის ფარგლებში, კულტურული მემკვიდრეობის წესების დაცვით, ავარიული შენობა დაიშალა, რომლის ნაცვლად, ახალი საცხოვრებელი სახლი აშენდა, ხოლო დაზიანებული სახურავი ახლით შეიცვალა. ასევე, მთლიანად შეიცვალა საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელი: წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ელექტრომომარაგების სისტემა. მოხდა არსებული ხის დეკორატიული ელემენტების რესტავრაცია, რაც ახალი ნაკეთობებით ჩანაცვლდა. მოეწყო ახალი კარ-ფანჯარა და ჩატარდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.

ისტორიულ შენობაში მცხოვრებ ათამდე ოჯახს, რომელიც რეაბილიტაციის დროს თბილისის განვითარების ფონდმა ბინის ქირის კომპენსაციით უზრუნველყო, რეაბილიტაციის შემდეგ ახალი საცხოვრებელი ბინები ჩაბარდა.

ზემო კალაუბანში მდებარე ყავლაშვილის ქუჩა №9-ის ისტორიული სახლის მშენებლობა-რეაბილიტაცია თბილისის განვითარების ფონდმა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მუშაობის წესების დაცვით განახორციელა, რისთვისაც დედაქალაქის ბიუჯეტიდან 612,574.07 ლარი დაიხარჯა.

თეატრი არ არის მხოლოდ რეჟისორი და მსახიობი. იგი სინთეზური ხელოვნებაა, სადაც ერთნაირადაა წარმოჩენილი ყველა ის აუცილებელი კომპონენტი, რომელიც ნებისმიერ სპექტაკლს საინტერესოს და შთამბეჭდავს ხდის. მხატვრულ-დეკორატიულ გაფორმებას თეატრის წარმატებაში დიდი ადგილი უკავია, განსაკუთრებით კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებაში, სადაც მთელი სიცხადით გამოვლინდა მისი მიზანსწრაფვა, რომელიც გულისხმობდა სცენაზე მსახიობის მიერ უმაღლესი ოსტატობით შესრულებულ თამაშს, მუსიკას და მხატვრულ გაფორმებას, თავისი შთამბეჭდავი ფერებით, შტრიხებით და მძაფრი საზეიმო თუ ტრაგიკული განწყობილებით. მხატვრული გაფორმება რეჟისორისთვის გამორჩეულ მნიშვნელობას იძენდა. მან ქართულ თეატრალურ-დეკორატიულ ხელოვანებას არა ერთი გამოჩენილი ოსტატი შესძინა: ირაკლი გამრეკელი, ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი... ახალგაზრდა, ნიჭიერ თაობას ის გაბედულად ანდობდა თეატრში წამყვან პოზიციებს და მიმართულებებს. ასეთთა შორის უდავოდ არის განსაკუთრებული ტალანტის მქონე მხატვარი — პეტრე ოცხელი, რომელიც სრულიად ახალგაზრდა, სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი, ოცი წლის ახალგაზრდა ჯერ თეატრის მხატვრად, შემდეგ კი მთავარ მხატვრად დანიშნა. ოცხელის პედაგოგები, სამხატვრო აკადემიის პროფესორები — შარლემანი და ლანსერე ურჩევდნენ მარჯანიშვილს დაეცადა, ოცხელს სასწავლებელი დაემთავრებინა, დიპლომი აეღო. „დიპლომს მე მივცემ“, — მყარად განუცხადა მათ რეჟისორმა და თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა. მარჯანიშვილს, როგორც ყოველთვის, ალღომ არ უღალატა. პეტრე ოცხელი ჩვენი ეროვნული თეატრის აღიარებულ მხატვრად ჩამოყალიბდა და შექმნა სასცენო-დეკორატიული გაფორმების ბრწყინვალე ნიმუშები, რომლებიც დღესაც არ კარგავენ აქტუალობას და მნიშვნელობას. ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა **თიბისი გალერეაში** გამოფენილი მისი გრაფიკული შედევრების ნახვამ. გამოფენილი ესკიზები მკაფიოდ და აშკარად გადმოსცემენ მხატვრის ჩანაფიქრს, ხედვას, ამა თუ იმ პერსონაჟის აღქმის უნარს, რომელიც მნახველს გულგრილს არ ტოვებს და მათში აღფრთოვანებას და დაუოკებელ შინაგან განცდებს იწვევს, რადგან გარდა გამოკვეთილი მკაფიო თეატრალურობისა, ისინი სხვებისგან განსხვავებული, ინდივიდუალური, მაღალმხატვრული ქმნილებებია, გამოირჩევიან თავისი უშუალობით, გამომსახველობით და მძაფრი შტრიხებით, მათში კარგად მოჩანს ის გამორჩეული ხელწერა, ხაზები და განწყობა, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ ქართული ხელოვნებისათვის, ქართული ფერწერისა და გრაფიკისათვის პეტრე ოცხელის ფანტაზია უკიდეგანოა. მდუმარედ შევყურებთ ამ ქმნილებებს და შთაბეჭდილებებით დატყვევებულები ვრწმუნდებით მისი შემქმნელის გენიალობაში, იმაში რომ ცოცხალი შემოქმედი გვიმზერს კედლებზე განლაგებული მისი ნამუშევრებიდან.

პეტრე ოცხელის მარადიულობაში გარდასული ხელოვნება

ოცხელების წინაპრები მანანაშვილები ყოფილან მესხეთ-ჯავახეთიდან, კერძოდ, ქალაქ ოცხედან (ახლანდელი აბასთუმანი). ამ რეგიონში ოსმალების ხშირი შემოსევების გამო მანანაშვილების ოჯახი ოცხედან ქალაქ ქუთაისში გადასახლებულა, იმერეთის მეფის მფარველობა მიუღია და ვინაიდან წარმოშობით ოცხედან იყვნენ, ოცხელების გვარით დაწერილან. პეტრეს მამა გრიგოლ ოცხელი ვაჭრობას და აღებ-მიცემობას მისდევდა თურმე. ამ საქმეში იმდენად ყოფილა გათვითცნობიერებული, რომ საქართველოში აღებ-მიცემობის განვითარების შესახებ წიგნიც კი დაუწერია. იგი გვიან დაოჯახებულა, 40 წლისას ცოლად 18 წლის კათოლიკე გოგონა, ელენე ხოჯევანიშვილი შეურთავს. ოთხი შვილი ეყოლათ: ნატაშა, ნინო, პეტრე და ლევანი. პეტრე ქუთაისში დაიბადა 1907 წელს. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ოჯახი 1913 წელს მოსკოვში გადასულა. გრიგოლმა სერპუხოვოში მაუდის ფაბრიკა გახსნა. საქმე საკმაოდ კარგად მისდიოდა. უზრუნველად ცხოვრობდნენ. პეტრე კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ ფრანგულ გიმნაზიაში მიაბარეს. ოჯახში მას და მის დედმამიშვილებს ფრანგი გუვერნანტი ქალი ემსახურებოდა. თუმცა ოცხელების უზრუნველი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ გრიგოლს მთელი ქონება ჩამოართვეს, რამაც აიძულა მისი ოჯახი, 1920 წელს ქუთაისში დაბრუნებულიყო. პეტრე აქ რეალურ სასწავლებელში მიაბარეს, სადაც იგი სხვა საგნებთან შედარებით ყველაზე მეტად ხატვის გაკვეთილებმა გაიტაცა, რასაც ხელი შეუწყო ამ პროფილის მასწავლებლის ივანე ჭეიშვილის განსაკუთრებულმა ყურადღებამ. მისი ხელმძღვანელობით პეტრე საოცარი მონდომებით ხატავდა პეიზაჟებს, აფორმებდა სასკოლო სპექტაკლებს... გაკვეთილების შემდეგ კი ბაგრატის ტაძრის ფრაგმენტების ჩანახატებს ახდენდა. ჯერ კიდევ სასწავლებელში სწავლის დროს მან საბავშვო სპექტაკლები: „კურდღლის საცოლე“ და „ღამე ტყეში“ გააფორმა. ასე გაიარა ხუთმა წელმა.

1926 წელს პეტრე ოცხელი თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ხდება, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ იოსებ შარლემანი და ევგენი ლანსერე. თუმცა იქ დიდხანს არ დარჩენილა. უკვე ერთი წლის შემდეგ იგი მუშათა თეატრში ანატოლი ლუჩანარსკის პიესას „ცეცხლის გამჩაღებლებს“ აფორმებს, რომელშიც კოტე მარჯანიშვილის მეუღლე — ელენე დონაური თამაშობდა. ცხადია, სპექტაკლის პრემიერას რეჟისორიც დაესწრო. მას ძალიან მოეწონა მხატვრის ნამუშევარი და სამუშაოდ თავისთან მიიწვია. ქუთაისში გადასულმა მარჯანიშვილმა პეტრე თან წაიყვანა. თეატრში მას პირველი სპექტაკლის გაფორმება შალვა დადიანის „კაკალ გულში“ მოუხდა, რომლის დადგმა წლის ბოლოს განხორციელდა. ვინაიდან თეატრს გამოყოფილი თანხები უკვე დახარჯული ჰქონდა, ახალგაზრდა მხატვარმა მთელი დეკორაცია სულ სხვანაირად, შედარებით იოლი და იაფასიანი საშუალებებით განახორციელა, შექმნა, როგორც თვითონ უწოდებდა. „გასაგიჟებელი აბაჟური“, რომელიც სცენას სრულად ავსებდა. ეს თეატრის ბიუჯეტისთვის გარკვეული შეღავათი იყო. სპექტაკლს უდიდესი წარმატება ხვდა წილად და სრული ანშლაგით მიდიოდა. აქ უკვე აშკარად გამოვლინდა მხატვრის განსაკუთრებული გემოვნება, ფერთა შრწყმის შესანიშნავი უნარი.



პეტრე ოცხელმა სწრაფად აუღო ალღო დიდი რეჟისორის მოსაზრებებს და გადაწყვეტილებებს, რომელიც გუცკოვის „ურიელ აკოსტაში“ აისახა, მხატვარი მაშინ მხოლოდ 21 წლის იყო. ცნობილი შექსპიროლოგი, პროფესორი მოროზოვი წერდა: **„მხატვარი ოცხელის არაჩვეულებრივი და უნიჭიერესი ნამუშევრების საფუძველი „ურიელ აკოსტაა“, რომელიც ჩვენ, ხელოვნების სპეციალისტებს, არ გვაძლევს საშუალებას, მივაკუთვნოთ ეს წარმოდგენა რომელიმე მიმდინარეობას. ის სრულიად ახალი და სპეციფიკური მოვლენაა“.** ამ სპექტაკლმა ქართულ თეატრალურ სივრცეში, ჭეშმარიტად ახალი, ნოვატორული ხელწერა შემოიტანა, რომელმაც აშკარად გვიჩვენა რეჟისორისა და მხატვრის სინქრონული ერთიანობა და ერთობლივი მუშაობის ბრწყინვალე ნიმუში შექმნა. მათ ერთნაირად დაინახეს პიესის მთელი არსი. ოცხელი ფეხდაფეხ მიჰყვა მარჯანიშვილის ჩანაფიქრს, ფანტაზიას, სურვილებს, ხედვას. შედეგი მართლაც შთამბეჭდავი იყო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ სპექტაკლმა სრული რევოლუცია მოახდინა ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში! მხატვრის გამომგონებლობის განსაკუთრებული უნარი ჩანდა ყოველ წვრილმანში. მან შექმნა ისეთი სცენური გარემო, რომელიც ყველანაირად ხელს უწყობდა მსახიობის თამაშს. სპექტაკლმა რეჟისორისა და მხატვრის სრულყოფილი შემოქმედებითი ერთიანობის ბრწყინვალე მაგალითი აჩვენა. ხუროთმოძღვრების ისტორიკოსი, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე ოცხელს „ვუნდერკინდს“ უწოდებდა და აცხადებდა: **„...მე არასოდეს არ მიფიქრია იმაზე, თუ რამდენი წლის იყო მხატვარი, როდესაც „ურიელ აკოსტა“ გაფორმა. ჩემს წინ არის მოაზროვნე მხატვრის დიდი ტილო“.**

იდგმება ახალ-ახალი მაღალმხატვრული სპექტაკლები: შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“, კალაძის „ხატიჯე“, შენგელაიას „თეთრები“, პოგოდინის „ფოლადის პოემა“, ჰაშეკის „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი“, კირშონის „პური“, ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“ და სხვა.

თეატრში მარჯანიშვილი და ოცხელი პრემიერას პრემიერაზე მართავდნენ. ეს პერიოდი მიეკუთვნება ქართული თეატრის აღზევების მომენტს და შემოქმედებითი თვალსაზრისით შეიძლება უნიკალურადაც ჩაითვალოს მის ისტორიაში, რადგან ამ დროს ერთბაშად მოზღვავდა უნიჭიერეს ხელოვანთა (რეჟისორების, მსახიობების, მხატვრების, კომპოზიტორების, მომღერლების) მთელი პლეადა.

მარჯანიშვილი იმდენად ენდობოდა და იზიარებდა მხატვრის მოსაზრებას, რომ ზოგიერთის აზრით თითქოს რეჟისორი ოცხელს მეტისმეტად ენდობოდა და ბევრის უფლებას აძლევდა, მაგრამ მათ არ ესმოდათ, რომ დამწყები, ახალგაზრდა მხატვრის და გამოცდილი რეჟისორის თეატრალური ხედვა, გემოვნება და ანალიზის უნარი, ერთმანეთს ემთხვეოდა.

პეტრეს არც მარჯანიშვილის გარდაცვალების (1933 წელი) შემდეგ შეუწყვეტია თავისი საყვარელი საქმე, აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა თეატრებთან, აფორმებს სპექტაკლებს — შექსპირის „ოტელოს“ და „ჰამლეტს“, ჭავჭავაძის „ჩატეხილ ხიდს“, შანშიაშვილის „სპარტაკს“, ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელს“, მთვარაძის „სურამის ციხეს“, გამრეკელის და კუჭავას „ჩვენ გავიმარჯვებთ“, იბსენის „მშენებელ სოლნესს“, რაისის „ჩვენ ხალხს“, ზარხის „ჯოი სტრიტს“, ჯონსონის „ვოლპონეს“, ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილს“.

ოცხელის შემოქმედებაში მსახიობის ჩაცმულობას, მის კოსტიუმს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომელიც ყოველთვის პირდაპირ, უშუალო კავშირში და დამოკიდებულებაში იყო დეკორაციასთან. მხატვრის მიერ შექმნილ კოსტიუმში მსახიობი სრულიად თავისუფლად გრძნობდა თავს. იგი მსახიობს კი არ ზღუდავდა, არამედ ხელს უწყობდა სრულყოფილად და ბოლომდე გამოემჟღავნებინა თავისი უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები. **„პეტრე ოცხელი დიდი მოვლენაა ქართულ მხატვრობაში... ის მართლაც ვირტუოზი იყო, ყოველი მისი ესკიზი ცალკე სურათია, იმდენად მაღალი, მხატვრული ინდივიდუალურობით არის აგებული, იმდენად რეალური და შთამაგონებელია...“** წერდა ლადო გუდიაშვილი. **„ვათვალიერებ რა ოცხელის ნაწარმოებებს, ვფიქრობ, რომ იგი კვლავ ცოცხალია, ისე თანამედროვეა მისი ესკიზები...“** — ამბობდა რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი. **„ამ ჭაბუკის თავისებური ხელწერა უკვდავია“,** — აღფრთოვანებული იყო ელენე ახვლედიანი.

1935 წელს პეტრე ოცხელი მოსკოვის მცირე თეატრში მიიწვიეს, სადაც გააფორმა შილერის დრამა „ვერაგობა და სიყვარული“, ლოპე და ვეგას „ცხვრის წყარო“ და გუსევის „დიდება“. სპექტაკლებმა სრული ფურორი მოახდინეს და საერთო მოწონება და აღიარება დაიმსახურეს. ალბათ ფრიად საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტანისლავსკის მიერ ვერდის ოპერა „რიგოლეტოს“ გაფორმებისთვის გამოცხადებულ კონკურსში, სადაც ოცი მხატვარი იღებდა მონაწილეობას, ოცხელის ესკიზმა მოიპოვა გამარჯვება. იგი მიწვეულ იქნა სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს მუსიკალურ თეატრში სტეპანოვის ოპერა „მესაზღვრეების“ მხატვრული გაფორმებისათვის, მაგრამ...

1937 წელს ოცხელი საბჭოთა ჩეკისტებმა მოსკოვში დააპატიმრეს. მას ბრალად წაუყენეს ქართულ ნაციონალურ ორგანიზაციაში მონაწილეობა. ჯალათებმა უნიჭიერეს ხელოვანს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. მაშინ ის სულ რაღაც 30 წლის იყო!!! უდროოდ გარდაცვლილი მხატვრის ცხოვრება ელვისებური მოვლენებით ვითარდებოდა და ასეთივე სისწრაფით დამთავრდა, თუმცა მისმა გასაოცარმა შემოქმედებამ დროს გაუძლო, სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნა და მარადიულობაში გადავიდა. 1939 წელს, ლონდონში თეატრის მხატვართა ნამუშევრების მსოფლიო გამოფენაზე პეტრე ოცხელის ესკიზები ოქროს დიდი მედლით დაჯილდოვდა, ხოლო 2000 წელს მისი ნამუშევრები გამოფინეს ედინბურგში, ლონდონში, ბრისტოლსა და ნიუპორტში. პეტრე ოცხელმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ახდა დიდი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის სიტყვები: **„...სიკვდილი სულელური სიტყვაა. სიკვდილი არ არსებობს. სწორედ ის, რაც დარჩება შენს შემდეგ, არის გამარჯვება სიკვდილზე, ანუ სამარადისო დავიწყებაზე“.**

გელა ქოქიაშვილი,
რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

◎ ფაროსანა არანაკლებ საშიშია, ვიდრე ტყის ხანძარი!

რატომ იბლოკება ფაროსანას წინააღმდეგ საქართველოში წარმოებული პრეპარატი?!

(მეხუთე გვერდიდან)

— თუკი თურქული „ზონდერი“ ბევრად უფრო საეჭვოა, მაშინ რატომ არ შეიძინეს ამერიკული „ბიფენტრინი“, მაღალ ფასს მოერიდნენ?

— ჩვენ უნდა შეგვეძინა ან ამერიკული, ან სხვა პრეპარატები. არსებობს პრეპარატები, რომლებიც, აგრეთვე, ტოქსიკურია, მაგრამ უფრო ეფექტურია, ვიდრე „ბიფენტრინი“. არსებობს ნაკლებად ტოქსიკურიც, რომელიც შეიძლება ნაკლებ ლეტალური იყოს ფაროსანასთვის, მაგრამ ბევრად უფრო ნაკლებ საზიანოა გარემოსთვის. უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ამდენი კვალიფიციური მომხმარებლის მომზადება შეუძლებელი იყო. ახლა უკვე საუბრობენ იმაზეც, რომ სახელმწიფო თავის თავზე აიღებს შესხურების პროცესს. თავიდანვე ასე უნდა გაეკეთებინათ და მოემზადებინათ კვალიფიცირებული პერსონალი.

— ქართულ სოფლებში უბრალო მეთოდით ებრძვიან ფაროსანას, მათ შორის, ეფექტურია მუყაოს კონსტრუქციის გამოყენება.

— კარგია, რომ ნებისმიერი მეთოდით ებრძვიან. თავის დროზე, როგორც ჩინელებმა გაანადგურეს ბეღურები, რაც საბოლოოდ ცუდი აღმოჩნდა, ასევე უნდა მოხდეს მთელი მოსახლეობის მობილიზება ფაროსანას შესაგროვებლად და გასანადგურებლად. ბოლოს და ბოლოს, საქართველოში 70 ათასი ჯარისკაცია, ხოლო ფაროსანა, ფაქტობრივად, სტიქიური უბედურებაა, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობას მთლიანი განადგურებით ემუქრება. ფაროსანას კიდევ ერთი ცუდი თვისება აქვს, ძალიან ადვილად მიგრირებს და „ბიფენტრინით“ ერთ ადგილას რომ შეზღუდავ, სხვა არეალზე გავრცელდება. აღმოსავლეთ საქართველოში უკვე დაფიქსირებულია ძალიან ბევრი ადგილი, სადაც მომავალი გაზაფხულიდან „ბიფენტრინი“ და ფაროსანა ქართლსა და კახეთს, ანუ ჩვენს მეღვინეობასა და მეხილეობას დაემუქრებიან. ჩვენ დავრჩებით სოფლის მეურნეობის გარეშე. ამიტომ უნდა გაძლიერდეს ფაროსანას შეგროვების, მიტყუების და ყველა სხვა კომპლექსური მეთოდი. პრესას კი არ უნდა ვუხადოთ ამდენი ფული, იმის საძახებლად, თურმე „ბიფენტრინი“ რა კარგი ყოფილაო...

ახლა უფრო ძლიერი წამლის გამოყენებასაც აპირებენ, არსებობს თერმული ნისლის მეთოდი, ეს კიდევ უფრო საშიშია მწერებისა და ფუტკრისთვის. ეს არის წვრილად შეწონილი ნაწილაკი. ჰაერში მოდის ნისლის ტალღა, რომელიც ანადგურებს ყველაფერს, რაც ამ ტალღაში მოხვდება. ცხადია, გარემოზეც უფრო დიდი ზეწოლა იქნება. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ ინსტრუქციებში შეფრქვევის ხელსაწყოებიც ზუსტად არის დეტალიზებული. ნებისმიერი ხელსაწყოთი არ შეიძლება ამ პრეპარატების გამოყენება. ავიაციას როდესაც იყენებ, უნდა იცოდე, თვითმფრინავის ფრთების გაშლის სიგრძე, ჩვენთან კი ვერტმფრენით აფრქვევენ, რაც არ შეიძლება. ეს საქმე დილეტანტურად კეთდება. ყველა მონაცემებით, რომლებიც თვითმხილველებისგან გვაქვს მიღებული, საქართველოში ფაროსანასთან ბრძოლის შედეგი ნაკლებად ეფექტურია სწორედ პრეპარატის არასწორი გამოყენების გამო.

— „ბიფენტრინის“ შესხურებით 100%-ით ნადგურდება ფაროსანა?

— ნადგურდება, მაგრამ „ბიფენტრინის“ შესხურება მსხმოიარე მცენარეებზე არ შეიძლება. მსხმოიარედ ითვლება მცენარე, რომელიც იმ სეზონში მოგცემთ ნაყოფს. თუ თქვენ პრეპარატს შეასხურებთ შემოდგომაზე ან გაზაფხულზე, იმ წელს იმ მცენარისგან ნაყოფს არ უნდა ელოდოთ. ამათ ისე შეასხურეს თხილის პლანტაციებს, რომ არც კი იცოდნენ თხილის მწარმოებლებმა, რომ ის თხილი იმ წელს ვერ გაიყიდებოდა.

— როგორც ვიცი, ტექნიკურ უნივერსიტეტში ადამიანისა და ბუნებისთვის უსაფრთხო ბიოლოგიური პრეპარატის გამოცდა მიმდინარეობს. რას გვეტყვით ახალი პრეპარატის შესახებ?

— ტექნიკურ უნივერსიტეტში უკვე ვცდით პრეპარატს, რომელიც მცენარეული წარმოშობისაა და ფაროსანასთვის თითქმის იგივე ლეტალობა აქვს, როგორც „ბიფენტრინს“. თუკი „ბიფენტრინის“ ლეტალობა პირობითად შეიძლება იყოს 95-96%, ამ ბიოლოგიური პრეპარატის ლეტალობა 92-94%-ია, პრაქტიკულად, ისეთივე შედეგისაა, მაგრამ სრულიად უსაფრთხოა ადამიანისთვის.

— საქართველოში წარმოებული პრეპარატის ავტორი ვინ არის?

— მისი ავტორი გახლავთ ბატონი რამაზ გახოკიძე, ცნობილი ქართველი მეცნიერი, სახელმწიფო პრემიისა და მელიქიშვილის პრემიის ლაურეატი. პირველი შედეგი დაბეჯითებით აჩვენებს, რომ პრეპარატი არანაკლებ ეფექტური და აბსოლუტურად უსაფრთხოა ადამიანისთვის. თუ საჭიროა, ჩვენ შეგვიძლია ეს დავამტკიცოთ, მცირე რაოდენობით შეუძლია დალიოს კაცმა და არავითარი პრობლემა არ შეექმნება. მაგალითად, იტალიაში ფართოდ გავრცელებულია ზემაღალსიხშირული დამასხივებლის გამოყენება, რომელიც ებრძვის პალმის ხეების გამანადგურებელ გრძელცხვირა ხოჭოს. ზემაღალსიხშირული დამასხივებლები მიკროტალღური ღუმელის პრინციპზეა აგებული და პირდაპირ ასხივებენ ხეებს, მათი გამოსხივება ხის ქერქში 10-15 სანტიმეტრის სიღრმეზე აღწევს. იქ შემძვრალი ხოჭოც იღუპება, ზედაპირზე მყოფ ხოჭოსთან ერთად. დამასხივებლების უპირატესობა მაღალია, რადგან, სანამ ასხივებ, კარგად ხედავ, რას ასხივებ. როგორც კი გამორთავ, არავითარი ნარჩენი არა აქვს. ჩვენთან, ტექნიკურ უნივერსიტეტში ფაროსანას წინააღმდეგ ამ ხელსაწყოს გამოცდაც მიმდინარეობს, რასაც არც ისეთი დიდი სიმძლავრე სჭირდება და მცენარისთვის საშიში არ იქნება. თუმცა აქაც არავითარი დაინტერესება არ ჩანს სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან. ეს სამუშაოები ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მხარდაჭერით, ინიციატივითა და ენთუზიასტების მონაწილეობით ტარდება.

სხვადასხვა უნივერსიტეტში, დაწესებულებაში, კომპანიაში, ასევე, საინტერესო სამუშაოები ტარდება ფაროსანას სტერილიზაციისთვის. ფაროსანა კი არ დაიხოცება, არამედ არ გამრავლდება. როგორც წესი, სტერილიზებული მამრები კონკურენციას უწევენ ჯანმრთელ მამრებს, დევნიან მათ, მათ ადგილს იკავებენ და გამრავლება კიდევ უფრო მცირდება. ამერიკაში ყველგან მოქმედებს ინტეგრირებული პროგრამა, სადაც 5-6-7 მეთოდი ერთდროულად გამოიყენება. ჩვენთან კი გადაწყდა, რომ უნდა შეიძინონ „ბიფენტრინის“ ჯგუფის პრეპარატები და ისინი არასწორად გამოიყენონ. სხვათა შორის, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი გიორგი კვესიტაძე შეგვპირდა, რომ კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართება, სადაც უკვე არა მხოლოდ სურსათის ეროვნული სააგენტოს პოზიცია დაფიქსირდება, არამედ ოპონენტებისაც. გარდა ამისა, ჩვენ ვითხოვთ სამთავრობო კომისიის შექმნას, რადგან მიგვაჩნია, რომ უმართებულოა, როდესაც ერთი და იგივე უწყება არეგისტრირებს პრეპარატს, შეიძენს, მოიხმარს და მერე თვითონვე აფასებს თავისი საქმიანობის ავკარგიანობას. სამთავრობო კომისიაში ჯანდაცვის სამინისტრო, შს სამინისტრო, ინფრასტრუქტურის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები უნდა იყვნენ წარმოდგენილნი და ერთობლივად იმსჯელონ, რა შეიძლება მოვუხერხოთ ფაროსანას. ფაროსანას პრობლემა ხომ იმდენად დიდია, რომ არაფრით ჩამოუვარდება ხანძრის, მიწისძვრის საშიშროებას საქართველოში. შეიძლება, დღეს ფაროსანა უფრო საშიშია, ვიდრე ტყის ხანძარი.

მანანა ნოზაძე

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 19 დეკემბრის №1-1/531 ბრძანების შესაბამისად

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებს თბილისი - წითელი ხიდის საავტომობილო გზის (თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტს, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს.

თბილისი-რუსთავის მონაკვეთი წარმოადგენს თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) ჩქაროსნული გზის ნაწილს. თბილისი-რუსთავის მონაკვეთი სამი ნაწილისაგან შედგება. პროექტი ითვალისწინებს არსებული 17,1 კმ. სიგრძის, 2 ზოლიანი თბილისი–რუსთავის გზის მოდერნიზირებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. I –III მონაკვეთი დასრულდა. II მონაკვეთზე დამტკიცებულია მიწის გამოსყიდვისა და განსახლების გეგმა და გარემოსდაცვითი ანგარიში. მეორე მონაკვეთი (კმ. 4+000 - კმ 10+ 800) ახალი ურბანული ტიპის გზაა. ამ მონაკვეთით გათვალისწინებული არსებული გზის გაფართოვებას ძლიერი ზემოქმედება ექნებოდა, ამიტომ უპირატესობა მიენიჭა ახალი გზის მშენებლობას. გზის განივიკვეთი 4 ზოლიანია, თითოეული ზოლის სიგანე 3,75 მ, გზის სამოსი ასფალტობეტონისაა, კონსტრუქციები: სატრანსპორტო კვანძები, ორი მიწისქვეშა გზაგამტარი, ოთხი სატრანსპორტო ხიდი და ოთხი საფეხმავლო ხიდი.

თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთზე (კმ. 4+000 - კმ 10+ 800) პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმით(LARP) განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეები ინფორმირებულ იქნენ, რომ მათი უარის შემთხვევაში, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მათ საკუთრებაზე/საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან, ხოლო შეთანხმებამიუღწეველი ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2017 წლის 19 დეკემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/531 ბრძანება **„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“**, რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე)

თბილისი - წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთის (კმ. 4+000 - კმ 10+800) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტით განსაზღვრული სამუშაოებისათვის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ესაჭიროება ამხანაგობა „ნარის“ საკუთრებაში არსებული უძრავ ქონება ს/კ 01.18.12.003.001. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: რეგისტრირებული ფართის 2429 კვ.მ -ის ნაწილი, საექსპროპრიაციო ფართი: 649 კვ.მ მიწის ნაკვეთი. მის: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი „ვ“ კორპუსი.

პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უახლოეს დროში მიმართავს რაიონულ(საქალაქო)სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

◎ წარსული – მომავლისთვის

საჩუქარი კოლხეთიდან

სტალინის დაბადების დღეს „ფაზისის“ აკადემია მუზეუმს ეწვია და „არგოს“ მოდელი უსახსოვრა

„აყვავდი ტურფა ქვეყანავ,
ილხინე ივერთ მხარეო,
და შენ ქართველო სწავლითა
სამშობლო გაახარეო“...
სოსელო

„ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის საქმიანობის უმთავრესი მიმართულება კოლხეთის დიდი წარსულის კვლევაა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიის სათავეა, თუმცა, იგი გვერდს არ უვლის თანამედროვეობის მწვავე პრობლემებს. აკადემიის ყოველწლიურ ჟურნალ „ცოტნეიდელში“ იბეჭდება მეცნიერული კვლევები, სტატიები ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე. აღსანიშნავია, რომ აკადემიის საპატიო პრეზიდენტია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია მე-II** და აკადემიის საქმიანობაც ღვთის რწმენითა და სამშობლოს სიყვარულითაა გაჯერებული.

გორში 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების დღეს, ამაღლებული სადღესასწაულო განწყობა დაგვხვდა.

შეხვედრის ორგანიზატორები გახლდნენ აკადემიის გორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ქალბატონი **ლია ოქროპირიძე** – სტალინის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი და აკადემიის ორგანიზაციის კოორდინატორი, ბატონი **გივი აბალაკი,** ყოფილი პარლამენტარი, პოლიტიკური მოღვაწე.

ქალბატონმა ლია ოქროპირიძემ ისაუბრა სტალინის სახელმწიფო მუზეუმის დაარსებიდან 80 წლისთავის შესახებ, გაიხსენა ღვაწლმოსილი ადამიანები, ვისაც გარკვეული წვლილი მიუძღვის ამ დიდ საქმეში, მან სტუმარ-მასპინძლებს საჩუქრად გადასცა ცნობილი ჟურნალისტის ვალერი კვარაცხელიას წიგნი „მანიფესტი სტალინზე“.

კოლხური „არგოს“ მოდელმა მუზეუმის ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილას დაიდო ბინა. უდიდესი იყო ტურისტების ინტერესი, განსაკუთრებით რუსების, ჩინელების, ლატვიელების. „არგოს“ მაკეტის ავტორი გახლავთ მხატვარი **ბორის პაპასკუა,** რომელმაც ააწყო არგოს მოდელი.

შეხვედრაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა „ფაზისის“ საერო აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი **ნუგზარ ნადარაია.** მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა სტალინის დამსახურებას ცივილიზებული სამყაროს წინაშე.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ, მსოფლიოს საპატიო მოქალაქის, მსოფლიო მოგზაურის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის პრეზიდენტი, პოეტი, ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორი **გულნაზ ხარაიშვილი,** რომელმაც მუზეუმს საჩუქრად გადასცა ჟურნალების კრებული, შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ რეჟისორი **ელგუჯა მგელაძე,** პოეტი **მანანა თარაშვილი,** პოეტი **ლამზირა შეყილაძე,** გორის უნივერსიტეტის ლექტორი **ვალერი სუხიშვილი,** რომელმაც მუზეუმს გადასცა სტალინის ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია და საკუთარი პოეტური წიგნი.

ღონისძიებას დაესწრო და სიტყვით გამოვიდა გორის მერი **კონსტანტინე თავზარაშვილი,** რაც ერთგვარი მოულოდნელობაც იყო ცნობილი მოვლენების ფონზე. მან თავის სიტყვაში გულწრფელი სამადლობელი გამოხატა ამ დიდი პიროვნების ასეთი დაფასებისათვის, რომელიც „ფაზისის“ აკადემიამ გამოიჩინა.

„ფაზისის“ აკადემიის აკადემიკოსმა **პაატა გეგენავამ** თავის სიტყვაში ერთი ისტორიული მომენტი გაიხსენა, როდესაც ფინეთში სტალინი შეხვდა ლენინს და მას „მთის არწივი“ უწოდა, ლენინმა კი მგზნებარე კოლხიდელი შეარქვა... არის რაღაც სიმბოლური სტალინის სახლ-მუზეუმისთვის კოლხური „არგოს“ ხომალდის საჩუქრად გადაცემაში.

ტრადიციულად დიდი მასპინძლობა გაგვიწია ბატონმა **გივი აბალაკმა,** რესტორანი „ნაჭარმაგევი“, გამორჩეული სტუმარმასპინძლობა, სადღეგრძელოები სამშობლოზე, სიყვარულზე, რწმენაზე, საუბრები დაწერილ და აწ დასაწერ წიგნებზე.

ასე დავემშვიდობეთ მასპინძლებს „ფაზისის“ აკადემიის წევრები ფოთიდან – ვაგნერ მხეიძე, გურამ გვაზავა, ალეკო დოლბაია, პაატა გეგენავა, ელდარ მხეიძე და ზურაბ აბრალავა.

ტრადიციულად ტრანსპორტი უფასოდ გამოგვიყო „„ფაზისი“ აკადემიის წევრმა, გორელმა, მაგრამ უკვე ფოთელმა ბატონმა **ზაქრო გვრიტიშვილმა.** მთელი გზა გულთბილად მოგვემსახურა ავტომანქანის მძღოლი, ბატონი **ბაგრატ თურქია.**

სტალინს უყვარდა ეს ქვეყანა, მან ბიბლიის ათი მცნება რეალურ კოდექსად აქცია და ორთავე ქვეყანას– ორთავე სოფელს ემსახურა, სტალინი იყო გენია და მას ვიწრო პოლიტიკანთა აზროვნება ვერაფერს დააკლებს.

ზურაბ აბრალავა,
„სრ“ საკ. კორ. ფოთი

ჯოზეფ ბაიდენი: იმედი მაქვს, ტრამპი ღილაკს არ შეეხება!

აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ ჩრდილოეთ კორეის ლიდერის მიმართ „ტვიტერით“ გავრცელებულ მიმართვას



გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ იმედი აქვს ტრამპი „ღილაკს არ შეეხება“. დონალდ ტრამპმა კიმ ჩენ ინს „ტვიტერით“ მიმართა და აღნიშნა, რომ მისი ბირთვული ღილაკი უფრო დიდი და მძლავრია.

მიმართვას წინ უძღოდა ჩრდილოეთ კორეის ლიდერის განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეას უკვე შეუძლია აშშ-ის წინააღმდეგ ბირთვული იარაღი გამოიყენოს და მას დიდი ზიანი მიაყენოს. კიმ ჩენ ინის განცხადებით, ის ამ ღილაკს იმ შემთხვევაში გამოიყენებს, თუკი ჩრდილოეთ კორეას აშშ-ის და მისი მოკავშირეების მხრიდან საფრთხე დაემუქრება.

კლინტონების სახლს ხანძარი გაუჩნდა

ბილ და ჰილარი კლინტონების სახლს ნიუ იორკში ხანძარი გაუჩნდა. ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო სამსახურის 3 ჯგუფი. ცეცხლი ლიკვიდირებულია. ხანძრის გამომწვევი მიზეზი დგინდება. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

ტრამპი: ბენონმა სამსახურთან ერთად ჭკუაც დაკარგა

„სტივ ბენონმა არამარტო სამსახური, არამედ ჭკუაც დაკარგა,“ – ასე ეხმაურება დონალდ ტრამპი ყოფილი მთავარი სტრატეგის განცხადებას. სტივენ ბენონმა ღიად განაცხადა, რომ 2016 წელს "ტრამპ თაუერში“ რუსებთან შეხვედრა „მოღალატეობრივი“ და „არაპატრიოტული“ საქციელი იყო. შეხვედრა დონალდ ტრამპის ვაჟის მიერ იყო ორგანიზებული. სტივ ბენონი დონალდ ტრამპს 2016 წლის საარჩევნო კამპანიისას ეხმარებოდა, თუმცა ის სამსახურიდან დაითხოვეს.

ფლორიდაში ბოლო 29 წლის განმავლობაში პირველად მოთოვა

დიდთოვლობის გამო ფლორიდის, ჯორჯიისა და ჩრდილოეთ კაროლინას ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. უსახლკაროებისთვის კი სპეციალური თავშესაფრები გაიხსნა. ბოლოს ფლორიდაში თოვლი 1989 წელს მოვიდა.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში აშშ-მა მხოლოდ 29 ათასი ლტოლვილი მიიღო

დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის ერთი წლის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა მხოლოდ 29 ათასი ლტოლვილი მიიღო. ამის შესახებ „იუ-ეს თუდეი“ სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით იტყობინება. „ეს არის ყველაზე მცირე რაოდენობა 2002 წლის შემდეგ, როდესაც შეერთებულმა შტატებმა ტერაქტების შემდეგ მიგრანტების მიღება შეზღუდა,“ – ნათქვამია სტატიაში. საემიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო.

კატალონიის პარლამენტი 17 იანვარს შეიკრიბება

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კატალონიაში საკანონმდებლო ორგანოს პირველი სხდომა დაინიშნა. სხდომაზე, რომელიც 17 იანვარს არის დაგეგმილი, პარლამენტის სპიკერი უნდა აირჩიონ. ამის შემდეგ კი მთავრობის ფორმირების შესახებ დაიწყება მოლაპარაკება. კატალონიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა ესპანეთის პრემიერ-მინისტრმაც. მარიანო რაჰოიმ იმედი გამოთქვა, რომ მომავალი მთავრობის ქმედებები რეგიონში კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში არ მოვა.

სიკვდილით დასჯას მხარი დაუჭირეს

ისრაელის პარლამენტმა ტერორიზმის ბრალდებით დაკავებული პირების სიკვდილით დასჯის შესახებ კანონს მხარი დაუჭირა. ახალ კანონს ხმა 52-მა დეპუტატმა მისცა, 49 კი წინააღმდეგ გამოვიდა. კანონის თანახმად, ტერორიზმში ბრალდებულის სიკვდილის დასჯისთვის ტრიბუნალის სამი მოსამართლიდან ორის თანხმობა იქნება საკმარისი. ქნესეთის მიერ მიღებული კანონის გაუქმება მხოლოდ ისრაელის უზენაეს სასამართლოს შეუძლია.

ირანელებმა აქციები ევროპაშიც გამართეს

ირანში მასშტაბური საპროტესტო გამოსვლების პარალელურად, მთავრობის წინააღმდეგ აქციები ევროპაშიც იმართება. ოპოზიციის მხარდამჭერებმა მიტინგები პარიზსა და ბრიუსელშიც გამართეს. მანიფესტაცია ირანის წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს მიერ იყო ორგანიზებული. დემონსტრანტები საფრანგეთისა და ბელგიის დედაქალაქებში ირანის საელჩოებთან შეიკრიბნენ და ირანის მთავრობის გადადგომა მოითხოვეს. ბოლო მონაცემით, საპროტესტო გამოსვლების დროს მომხდარი შეტაკებების შედეგად ირანში 22 ადამიანი დაიღუპა, დაშავებულთა რაოდენობამ კი 450 გადააჭარბა.

◎ ლეგიონერი

შეუჩერებელი „თოკომოტივი“

ესპანეთის ლიგა ენდესას მორიგ ტურში თორნიკე შენგელიას „ბასკონია“ მადრიდის „რეალთან“ ვერაფერს გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ვიტორიელებმა პირველი ტაიმი კარგად ჩაატარეს, ეს საბოლოო წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

„ბასკონიამ“ განსაკუთრებით დასკვნითი პერიოდი ჩააგდო, რომელიც ათი ქულით წააგო, საბოლოოდ კი „სამეფო კლუბმა“ 81:69 მოიგო და ლიდერობა განიმტკიცა („რეალს“ 14 ტურში 13 გამარჯვება აქვს მოპოვებული).

რაც შეეხება „ჯვაროსანს“ — ქართველი კალათბურთელი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და 26 წუთი ითამაშა. ხსენებულ დროში თორნიკემ ორმაგი დუბლის შესრულება მოასწრო: 15 ქულა და 10 მოხსნა (3 მეტოქის ფარზე).

ჩვენებურმა 10-დან 6 ორქულიანი და 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო სამქულიანი სამჯერ ისროლა, მაგრამ კალათში ვერც ერთი მოათავსა. შენგელიას მარგი ქმედების კოეფიციენტმა 17 შეადგინა, რაც თანაგუნდელთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი გამოდგა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ბასკონიას“ კაპიტანი მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა ქულების მხრივ — 15 ქულაზე მეტი არავის ჩაუგდია, თუმცა, იგივე შედეგი აჩვენეს მადრიდელმა ფაბიენ კოსიემ და ბასკმა მარსელო ჰუერტასმა, აი, მოხსნების მხრივ კი „თოკომოტივს“ ბადალი არ ჰყოლია.იგი ასევე ერთადერთი იყო, ვინც ორმაგი დუბლით დაასრულა შეხვედრა.

„ბასკონიას“ 14 ტურის თავზე 8 მოგებითა და 6 წაგებით მეშვიდე ადგილი უკავია. შენგელია და მისი თანაგუნდელები მომდევნო შეხვედრას 7 იანვარს საკუთარ მოედანზე „ვალენსიასთან“ ჩაატარებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

კატალონიის „ბარსელონას“ ყოფილმა მეკარემ ვიქტორ ვალდესმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა. ამის შესახებ ლა ლიგის ტვიტერის გვერდი ოფიციალურად იტყობინება.

მას კარიერის უმეტესი ნაწილი „ნოუ კამპზე“ აქვს გატარებული, სადაც 2002-2014 წლებში თამაშობდა და ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა, მათ შორის 6-ჯერ — ესპანეთის ჩემპიონატი და სამჯერ — ჩემპიონთა ლიგა.

„ბარსადან“ „მანჩესტერსა“ და ლიეჟის „სტანდარტში“ გადავიდა, ხოლო მისი ბოლო გუნდი ინგლისური „მიდლსბრო“ გამოდგა, რომლის ღირსება გასულ სეზონში 28 შეხვედრაში დაიცვა.

ვალდესმა 2010-2014 წლებში ესპანეთის ეროვნული ნაკრების მაისური 20-ჯერ მოირგო.

სინიშა მიხაილოვიჩი „ტორინოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს. როგორც Gazzetta Dello Sport-ი იტყობინება, ამ გუნდის პრეზიდენტმა ურბანო კაირომ სერბი სპეციალისტი იტალიის თასის 1/4 ფინალში ტურინულ დერბიში „იუვენტუსთან“ მარცხის (0:2) შემდეგ დაითხოვა.

ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი „ტორინოს“ წარუმატებელი თამაშია. „ხარებს“ ბოლო 17 მატჩიდან მხოლოდ სამი აქვთ მოგებული და სერია A-ში მეათე ადგილზე არიან.

მიხაილოვიჩი „ტორინოს“ 2016 წლის ზაფხულიდან წვრთნიდა. იტალიური მედიის ინფორმაციით მას ვალტერ მაძარი შეცვლის, რომელიც ამჟამად უმუშევარია, ბოლოს კი ინგლისურ „უოტფორდს“ ავარჯიშებდა.

ლონდონის „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე „არსენალთან“ მატჩის შემდეგ დამწუხრებული იყო. იტალიელის განცხადებით, მისი გუნდი უპირატესობას ფლობდა და ამიტომ გამარჯვებას იმსახურებდა.

„იმედგაცრუებულები ვართ, რადგან „ჩელსის“ უნდა მოეგო. ბევრი მომენტი შევქმენით და ამიტომ 3 ქულა გვეკუთვნოდა, თანაც მორატას ბედმა არ გაუღიმა. მეტი რაღა დაგვრჩენია — მუშაობა უნდა გავაგრძელოთ. უბრალოდ, სამწუხაროა, რომ მომენტები გავანიავეთ, მათ შორის სამჯერ — მეკარესთან პირისპირ გასვლა“, — უთხრა კონტემ Sky Sports-ს.

შეგახსენებთ, რომ ლონდონური დერბი „არსენალსა“ და „ჩელსის“ შორის 2:2 დასრულდა. „არისტოკრატები“ 46 ქულით მესამე ადგილზე არიან და ლიდერ „სიტის“ 16 ქულით ჩამორჩებიან.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

საქართველოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი დოჰაში მიმდინარე ტურნირს მეორე წრიდან გამოეთიშა. 25 წლის მოთამაშე მერვედფინალში ბორნა ჩორიჩთან 1:6, 3:6 დამარცხდა.

ნახვამდის, დოჰა!

ბასილაშვილმა საკუთარი მოწოდება ხუთჯერ დათმო, ხორვატი კი მხოლოდ ერთხელ დაბრეიკდა. ნიკოლოზმა სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა, ხოლო ჩორიჩმა — ერთი. ურთიერთშეხვედრებში ბორნამ ანგარიში 1:2 გახადა. გასულ წელს ხორვატი და ქართველი ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ და ორჯერვე ჩვენებურმა იმარჯვა.

წყვილთა თანრიგში ნიკოლოზი და ანდრეას ჰაიდერ-მაურერი პირველი ეტაპის დაძლევის შემდეგ მეოთხედფინალში ფელისიანო ლოპესთან და რაჯივ რამთან 2:6, 2:6 დამარცხდნენ.

ყატარიდან საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ავსტრალიაში გაემგზავრება და სიდნეის საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ოლიმპიზმი

ორგკომიტეტი მიესალმება



ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებით, თუ ჩრდილოეთ კორეა მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიადაში, ეს ნამდვილი ოლიმპიური სულის გამოვლინება იქნება.

ჩრდილოეთკორეელი სპორტსმენების ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის შესახებ საახალწლო მიმართვისას კიმ ჩენ ინმა განაცხადა. როგორც ჩრდილოეთკორეელმა ლიდერმა აღნიშნა, მზად არის, პიონჩანგ-2018-ზე გაუშვას თავისი ქვეყნის გუნდი და ამის თაობაზე სასწრაფო მოლაპარაკება დაიწყოს სამხრეთ კორეასთან.

მართალია, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე განაცხადის წარდგენის ვადები უკვე ამოიწურა, მაგრამ ჩრდილოეთ კორეას კიდევ აქვს დარჩენილი ტექნიკური შესაძლებლობა, იანვრის შუა რიცხვებამდე გააკეთოს ოფიციალური განაცხადი ოლიმპიადაზე მისი სპორტსმენების გაგზავნის თაობაზე.

ბეჟან დოლიძე

◎ რაგბი

ტრავმების ეპიდემია



6 ერის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე უელსის ნაკრებში რამდენიმე ცუდი სიახლე მოხდა — ტრავმირებულნი არიან მესამეხაზელი დენ ლიდიეტი, აგრეთვე ფრთები ჰალამ ამოსი და ჯორჯ ნორთი.

როგორც ირკვევა, ლიდიეტის ტრავმა საკმაოდ სერიოზულია, რის გამოც დაახლოებით ორი თვე ვერ ითამაშებს და ზემოხსენებული ტურნირის გამოტოვება მოუწევს. რაც შეეხება გარემარბების დაზიანებას, ისინი შედარებით მსუბუქად არიან დაშავებულნი და, დიდი ალბათობით, მხოლოდ 6 ერის საწყისი შეხვედრის გამოტოვება მოუწევთ.

შეგახსენებთ, რომ 6 ერი 3 თებერვალს აიღებს სტარტს და გახსნის მატჩში უელსის ნაკრები „ფრინსიფალითი სთედიუმზე“ შოტლანდიას უმასპინძლებს.

კოგა კოგახიძე

◎ ინტერნეტიდან

წლების მიჯნაზე

სულ რამდენიმე დღეა 2017 წელი მიიწურა და ახალ წელს, აბა, ისე როგორ და რა ნამუსით უნდა შევხვედროდით, ფეხბურთის ყოველთა ქომაგთა სამშვენისის, პარაგვაის ეროვნული ნაკრების თილისმის, დიდებულისა და ჯიქანდალოცვილის ლარისა რიკელმეს შესახებ ახალი ამბები რომ არ გაგვეგო?!...

მიუხედავად იმისა, რომ ლარისას არცთუ წარმატებული წელი ჰქონდა, რადგან ვერ აღსრულდა მისი დიდი ხნის ოცნება და პარაგვაის ნაკრები მაინც ვერ მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რიკელმეს ქალი ცხოვრების წუნწუხში არ წვება და იცის — გულთან დარდი რომ მიუშვას, იქამდე მისი მკერდის ორი უზარმაზარი „ბარიერია“ გადასალახი.

ახალ წელს ლარისა რიკელმე მშობლიურ პარაგვაიში შეხვდა და ერთ-ერთ იქაურ პოპულარულ სატელევიზიო შოუშიც გამოიჭამა. სტუმრის რანგში მიწვეულმა ჩვენმა ტკბილმა ლარისამ, შესაძლოა, ოზონის შრის პრობლემაზე არ ისაუბრა, მაგრამ ყველამ ვიცით, მისი ცქერის დროს ყურადღებას რაც მიიქცევდა...

როსტომ რაჭველიშვილი

ხსოვნა

თენგელა ლორთქიფანიძე

გარდაიცვალა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, სხვათაგან გამორჩეული ღვაწლმოსილი პიროვნება, ღირსების ორდენოსანი, ვეტერანი ჟურნალისტი, ოთხი ათეული წლის (1950-1990) განმავლობაში ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი და სარედაქციო კოლეგიის წევრი, ყველასათვის საყვარელი, კოლორიტული ქალბატონი **თენგელა გიორგის ასული ლორთქიფანიძე**. საკმარისია ითქვას, რომ მისი სახელი დღესაც, როცა რედაქციაში აღარ მუშაობს, ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ სიმბოლოდ აღიქმება. ეს არ არის ლიტონი სიტყვები. ვინც მას იცნობდა, ყველამ კარგად იცის მისი ცხოვრების კრედო: ღრმა პროფესიონალიზმი, საქმისადმი ერთგულება, უანგარობა, ზნეობრივი სისპეტაკე, დიდი გულისხმიერება და პრინციპულობა. აი, ის ძირითადი თანამდევი თვისებები, რომლებმაც ყველასათვის მისაბაძი გახადა ქალბატონი თენგელას პიროვნება.

ქალბატონ თენგელას რჩეულობა და სიდარბაისლე სახელოვანი გვარისა და წრის მშობლებისაგანაც დაჰყვა. ქალბატონი თენგელა დაიბადა 1923 წელს დედისეულ სოფელ ბახვში — ქიქოძეების ოჯახში; 1941 წელს დაამთავრა დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლა, 1943 წელს — დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, ხოლო 1950 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ენისა და ლიტერატურის განყოფილება.

ქალბატონი თენგელა 1969 წლიდან არის ჟურნალისტთა კავშირის წევრი. მას გამოქვეყნებული აქვს წერილები და ცნობილი მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის თარგმანები. ის აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში, რისთვისაც მიღებული აქვს სათანადო ჯილდოები.

ქალბატონი თენგელას გარდაცვალებამ ყველას ძალიან დასწყვიტა გული. მისი სახელით ყოველთვის იამაყებენ მისი ლამაზი ოჯახის წევრები, ახლობლები, თანამშრომლები და ნაცნობები.

მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა ღირსეული ქალბატონის — თენგელა ლორთქიფანიძისათვის.

ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ ყოფილი სარედაქციო კოლეგიის წევრები და რედაქციის თანამშრომლები

სანთელი

მეუღლე გალინა, შვილები ნინო, ეკა, მანანა, ძმა ავთანდილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სეითი ლევანის ძე ისაკაძე

პანაშვიდი 5 I, 16 სთ. გამოსვენება 6 I, 14 სთ.

მისამართი: თბილისი, ა. ყაზბეგის (პავლოვის) 34ა, მე-3 სადარბაზო, ბინა 77.

რევაზ, ზაზა, ნინო, ნიკო, ანი თევზაძეები ოჯახის წევრებთან ერთად დიდ მწუხარებას გამოთქვამენ ყოფილი მესამე სამშობიარო სახლის ექიმ-გინეკოლოგის, უსათნოესი ქალბატონის

ლია კვირკველიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

ამოღებულია უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა...

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-9 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.ჯ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 3 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი უპოვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული ნ.გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უწყების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ბუპრენორფინის შემცველი 49 აბი და 0,51664 გრამი ჰეროინი ამოიღეს.

◎ შეუცნობელი

სწორი კითხვები... თავის ტვინს

მაინც რატომაა, რომ ადამიანის თავის ტვინის მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლა, უამრავი მცდელობის მიუხედავად, დღემდე ვერ ხერხდება? რა არის ამის მიზეზი და რა საფრთხეებს შეიცავს ადამიანისთვის ტვინის შესაძლებლობები? შეუძლია თუ არა მას სხეულის გარეშე არსებობა?

თავის ტვინის საიდუმლოს გამოცნობას მსოფლიო მეცნიერება მრავალწლიანი კვლევების მიუხედავად, მაინც დიდად რომ ვერ მიუახლოვდა, ამაში თავად მკვლევართა ბრალი ნამდვილად არ არის. ბევრი ავტორიტეტული მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი კვლევის ობიექტის წარმოუდგენელი სირთულეა. **მისი მოქმედების ერთიანი, მწყობრი სურათი იმ დონემდე „ვერ ლაგდება“, რომ ზოგიერთი ფიზიოლოგი, ვინც ტვინის შესწავლას მთელი სიცოცხლე შეალია, ბოლოს ეჭვს გამოთქვამს, რომ აზროვნება ტვინის მუშაობის შედეგია და მის მოღვაწეობას რაღაც უზენაესი ძალის მოქმედებად აფასებს(!)**.

ბოლო ხანებში მკვლევარები დაუფარავად აღიარებენ, რომ ტვინის შესწავლის პროცესში რაღაც მომენტში თითქოს ყრუ კედელს აწყდებიან. მე-20 საუკუნეში ტვინის შესწავლაში გარკვეული წარმატებების მიღწევაში გამოწვეული ეიფორიის გამო, მეცნიერებს ეგონათ, რომ სულ მოკლე დროში ყველაფრის ადვილად გაგებას შეძლებდნენ, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ასე სულაც არ არის.

მკვლევარები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ **არსებობს სერიოზული წინააღმდეგობა ტვინის უზარმაზარ ინტელექტუალურ სიმძლავრესა და სხეულის მდგომარეობაზე მის დამოკიდებულებას შორის**. არადა, ეს ყოველთვის კარგი არ არის, თუმცა კი ისიცაა, რომ ეს დამოკიდებულება რომ არ არსებულიყო, მაშინ, ვთქვათ, არც სტრესს ექნებოდა ზეგავლენა თავის ტვინის მუშაობაზე. სტრესი კი, როგორც ვიცით, აქტიური მუშაობის უდიდესი სტიმულატორია. თუკი თავის ტვინს განვაცალკევებთ და ავტონომიურს გავხდით, ეს მას მკვეთრად გააუფერულებს. მაგალითად, შეწყდება ენდოგენური მორფინებით მისი კვება, რომლებიც ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე ზემოქმედებენ: წაართვით ადამიანს ბედნიერების ჰორმონი და



იგი ემოციების ზღვას დაკარგავს. ამდენად, **თავის ტვინი სხეულზე უნდა იყოს დამოკიდებული, ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აუცილებლობაა**.

ხშირად ისმება კითხვა: შესაძლებელია თუ არა ტვინის სხვა სხეულში გადანერგვა? ამაზე მეცნიერები პასუხობენ, რომ ამის გაკეთება ჯერჯერობით არ არის შესაძლებელი, რადგან ზურგის ტვინი არ „წებდება“ და ადამიანი დადამბლავებული რჩება. არადა, სრულად გათიშული ზურგის ტვინის მქონე კუსაც და კატასაც მოძრაობის ფუნქციის აღდგენა შეუძლიათ, ადამიანს კი — არა. როცა ასეთი ოპერაციის წარმატებით გაკეთება გახდება შესაძლებელი, მაშინ თავის გადანერგვაც მოხერხდება.

არსებობს მოარული აზრი, რომ თავის ტვინს ერთგვარი შესაძლებლობები გააჩნია, რომლებიც ქვეცნობიერებაშია დაბუდებული. თუმცა კი მეცნიერები აცხადებენ, რომ ამის მტკიცება ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილების შესახებ მითის მსგავსია. რა თქმა უნდა, **ორგანიზმს აქვს გარკვეული რეზერვები, მაგრამ ის მათ განსაკუთრებული, ექსტრემალური შემთხვევებისთვის ინახავს**. ადამიანს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, თუმცა ყველაფრის არა, თანაც ამაში ხშირად ზედმეტად მაღალი „საფასურის“ გადახდა უწევს.

ცნობილია, რომ პრაქტიკულად ყველა ოლიმპიური ჩემპიონი — სნეული ადამიანია. მათი რეკორდები ორგანიზმის ძალების უკიდურესი დაძაბვით მიიღწევა, რასაც მძიმე შედეგები ახლავს. ამ ლოგიკას თუ მივყვებით, გამოდის, რომ ზებუნებრივი შესაძლებლობების გამომჟღავნებას მუდამ სავალალო შედეგი მოჰყვება, მაგრამ ეს ასე არ არის. მაგალითად, **მოკლე დროში დიდი მოცულობის ინფორმაციის დამახსოვრება დიდებული რამაა, მაგრამ ისიცაა, რომ დავიწყების უნარიც უაღრესად დიდი მადლია**. წარმოგიდგენიათ, რა ჯოჯოხეთი იქნებოდა, ადამიანს განვლილი ცხოვრების ნებისმიერი წვრილმანი არასდროს რომ არ ავიწყდებოდეს?!

ამიტომაცაა, რომ ადამიანის **ორგანიზმის სტაბილობისგან ნებისმიერ გადახრას სიკეთე არ მოაქვს**. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ იდეაში, **ზესაძლებლობები ბიოლოგიურ დონეზე თავად ტვინისა და ორგანიზმის მიერ უნდა იყოს შეზღუდული მათი დაბალანსებისადმი მისწრაფებით**.

ამდენად, იმის გამო, რომ ტვინი ბოლომდე შესწავლილი არ არის, მოვა დრო, როცა სადღეისოდ „არარსებულ მოვლენათა“... შესწავლის ჟამი მოვა — ლაპარაკია წინასწარმეტყველების, სხეულიდან სულის გასვლის, ტელეპატიისა და სხვა ამ ტიპის ფენომენებზე. მაგალითისთვის შეიძლება სხეულიდან სულის გასვლის განხილვა, რომელიც მხოლოდ კრიტიკულ მდგომარეობებში ხდება, მაგალითად, როცა ადამიანი სულთმბრძოლია. რატომ ხდება ეს მაინცდამაინც ამ მომენტში? როცა სიცოცხლე ქრება, ირღვევა ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის შეთანხმებული მუშაობა, რომელთა ძალა უკვე ძლივსღა ყოფნის თვითუზრუნველყოფას და არა ერთმანეთთან ურთიერთობას. ამიტომაცაა, რომ ამ დროს თავის ტვინში ზოგიერთი აკრძალვა და შეზღუდვა აღარ მოქმედებს.

ზოგიერთ ადამიანს აქვს განსაკუთრებული თანდაყოლილი თვისებები (ვთქვათ, ნიჭი, ანდა, სულაც, გენიალურობა), რომლებიც ზეამოცანის დაყენებისას გონების გაცისკროვნების სახეს იღებს და დროის შიდა რეჟიმის ცვლილებით გამოიხატება.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. **თავის ტვინის ოდენობრივი მატების დროს მისი ხარისხობრივი ცვლილება არ ხდება — კონსილიუმი მხოლოდ მცდელობათა რიცხვს ზრდის და ამის მიზეზი, შესაძლოა, ის არის, რომ თავის ტვინისთვის კითხვების სწორად დასმა ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით.**

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ საახალწლო კონცერტი

ზეიმი სპორტულ ცენტრში

ტრადიციული საზეიმო კონცერტით შეხვდნენ ახალ წელს მარინე ცერცვაძის სახელობის თბილისის მერიის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრის აღსაზრდელები.

ამ არაჩვეულებრივი, სახალისო ღონისძიების მონაწილე დაახლოებით რვა ათეული ბავშვი ასაკობრივ ჯგუფებადაა დაყოფილი, დღესასწაულის სულის ჩამდგმელი კი წარსულში ჩვენი სასიქადულო სპორტსმენი, ცენტრის გენერალური დირექტორი **ირაკლი ჯაფარიძე** გახლავთ.

უაღრესად ხატოვანი გამოსვლების შემდეგ, ნორჩ მოციგურავეებს თოვლის პაპამ საახალწლო საჩუქრები მიართვა. მეტად სასიხარულოა ის გარემოება, რომ დარბაზში ტევა არ იყო — პატარების საქომაგოდ მათი მშობლები, ბებია-ბაბუები, ფიგურული სრიალის მოყვარულები მივიდნენ სპორტულ ცენტრში.

ოთარ ტურაბელიძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

ხანძარი რუსეთში

რუსეთის ფედერაციაში ნოვოსიბირსკის ოლქში ფეხსაცმლის მწარმოებელ ქარხანაში გაჩენილი ხანძრის შედეგად 10 ადამიანი გარდაიცვალა. 7 მათგანი ჩინეთის მოქალაქე იყო. 2 ყირგიზეთის და ერთი რუსეთის. ხანძრის გაჩენის მიზეზი, სავარაუდოდ, უსაფრთხოების ნორმის დარღვევაა. საბოლოო ჯამში ხანძარი 2000 კვადრატულს წაეკიდა.

თავდასხმა ავიაბაზაზე: სირიაში ორი რუსი სამხედრო გარდაიცვალა

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო სირიაში ავიაბაზა „ხმეინმინზე“ 31 დეკემბერს თავდასხმას ადასტურებს.

სამინისტროს ინფორმაციით, თავდასხმისას ორი რუსი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. შოიგუს უწყება უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ რომ თავდასხმისას რადიკალმა ისლამისტებმა 7 სამხედრო თვიმფრინავი გაანადგურეს.

ინფორმაცია 4 ბომდამშენი „სუ 24“-ის და 2 მოირიშე „სუ 35“ -ის და სატრანსპორტო საფრენი „ან 72“-ის ჩამოვარდნის შესახებ „კომერსანტმა“ გაავრცელა. მისივე ინფორმაციით, თავდასხმისას სამხედრო ბაზაზე განადგურებული იქნა ტყვია-წამლის საწყობი. სამინისტრომ „კომერსანტის“ გავრცელებულ ინფორმაციას სიცრუე უწოდა.

ჩრდილოკორეული ბალისტიკური რაკეტა ქალაქს დაეცა

„THE DIPLOMAT-ის“ ინფორმაციით, 2017 წლის 29 აპრილს ჩრდილო კორეის მიერ გაშვებულ კონტინენტთაშორისმა ბალისტიკურმა რაკეტამ კრახი განიცადა და მისი ნამსხვრევები ქალაქ ტოკჩხონს დაეცა. ქალაქის მოსახლეობა 237 ათასია. რაკეტამ ცაში სულ რამდენიმე წუთი დაჰყო და მან მხოლოდ 70 კილომეტრი იფრინა. ჩამოვარდნილმა ნამსხვრევებმა ქალაქს დიდი ზიანი მიაყენა.

გამოცემის ინფორმაციით, შესაძლოა რაკეტის ნაწილების ჩამოვარდნას დიდი მსხვერპლი მოჰყოლოდა, რადგან მისი ჩამოვარდნის დაახლოებითი ადგილი სამრეწველო ზონა იყო.

იცით თუ არა, რომ...

მარინა შალიაპინა

• **თევდორე შალიაპინის** ქალიშვილი მარინა ტიტულის „მის რუსეთი-1931“ მფლობელი რომ გახდა (სხვათა შორის, ჟიურის წევრებს შორის იყვნენ მწერლები ბუნინი და კუპრინი, მხატვარი კოროვინი), მთელი საღამო ცრემლებად იღვრებოდა, რადგან რცხვენოდა რომ უცხო ხალხის დასწრებით „ლამაზმანს“ უწოდებდნენ?

• მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ პარფიუმში DKNY Golden Delicious Million Dollar Fraghance Bottee-ში, რომლის ოქროს ფლაკონს სამი ათასი პატიოსანი თვალი ამშვენებს, საქველმოქმედო აუქციონზე მილიონი დოლარი გადაიხადეს?

• ყოველწლიურად მსოფლიოში პლასტიკური ქირურგები მკერდის გადიდების 1,5 მილიონ ოპერაციას აკეთებენ, რომელიც ამ სფეროში ყველაზე პოპულარულადაა მიჩნეული?

• რაც უფრო ბევრს მოძრაობს ბავშვი, მით უფრო კარგად ვითარდება, რადგან ეს მისი ნერვული და საყრდენ-სამოძრაო სისტემების ჩამოსაყალიბებლადაა აუცილებელი?

• მსოფლიო ოკეანის ნეიტრალურ წყლებში უამრავი დაუსახლებელი კუნძულია, რომელიც არავის ეკუთვნის?

• მოსკოვის კრემლის გალავანს 1045 კბილი ამშვენებს?

• ლაზერული საჩვენებლის დანახვა ადამიანის თვალს რამდენიმე ასეული ათასი კილომეტრის სიშორიდანაც შეუძლია?

• იმის მიუხედავად, რომ მთვარისგან არეკლილი მზის სხივი პირდაპირ სხივებზე 400 ათასჯერ სუსტია, ის მაინც ათბობს?

• საკუთარი შემოსავლით თბილისის გარეუბანში 50-60 კვადრატული მეტრი ფართის ბინის შესაძენი ფულის დასაგროვებლად, თვეში 1000-ლარიანი შემოსავლის მქონე პირს (რაც ოფიციალური სტატისტიკით, რატომღაც „საშუალოშემოსავლიანად“ ითვლება), 15 წელი, ხოლო ცენტრალურ რაიონებში 25 წელი დასჭირდება?

• ავსტრალიელმა იხტიოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ზებრისებრი ზვიგენი შთამომავლობას მამრის გარეშე იძლევა?

ბუკინისტი იყიდის:

მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5902; ევრო - 3.1129;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5167;
100 რუბლი - 4.5145; თურქული ლირა - 0.6884;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5236;
1000 სომხური დრამი - 5.3611.

ამინდი 5 იანვრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -1, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე -5, დღე +9
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +6
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +11
თბილისი: ღამე +3, დღე +10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge